856
1648
145

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ—65 კ., დანარჩენებისთვის ქალაქში 85 კ., ქალაქს გარეშე—95 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ განცხადებები: მომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მამ. დოკუმენტების დაკარგვა 50 კაპ. განცხადებები მიიღება 3 საათამდე

ექსპედიციის ტელეფ. 5—43

დღიური

ესპანეთის არმიამ უკან დახევის დროს დიდი ზარალი ნახა.

პოლონეთის მთავრობის წევრები ვერ შეთანხმდნენ პოლონეთის არმიის მთავარსარდლის დანიშვნის საკითხზე.

იტალიის მენშევიკები პროვოკაციულ მუშაობას აწარმოებენ კომუნისტების წინააღმდეგ იტალიის [illegible] კონგრესზე.

ეგვიპტეში გრძელდება გენერალ ლი-სტეკის მკვლელობაში შერეულ პირების დაპატიმრება.

ალბანეთში აჯანყება ფართე ხასიათს ღებულობს.

ოთხშაბათი, 17 დეკემბერი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 288 (1143)

ტერიტორიალურ ნაწილებში გაწვევისთვის

ჩვენში ამჟამად პირველად მიმდინარეობს მოქალაქეთა მიწერა ტერიტორიალურ ნაწილებზე, რომლის წარმატებით ჩატარებაზე დიდათ დამოკიდებულია ჩვენი მომავალი სამხედრო ძლიერების საქმე.

ყოველმა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკმა უდიდესი ყურადღება უნდა დაუთმოს ჩვენი შეიარაღებული ძალების მშენებლობაში ახალი სისტემის შემოღებას, სავსებით გაერკვეს მის შინაარსში, ხელი შეუწყოს მის უნაკლოთ და უმტკივნეულოთ გატარებას.

ტერიტორიალური სისტემის შემოღებამ ჩვენში რამოდენიმეთ დაიგვიანა, საბჭოთა კავშირის დანარჩენ ადგილებში ის უფრო ადრე იქნა გატარებული. ამ შემთხვევაში ჩვენ საშუალება გვაქვს ვისარგებლოთ საბჭოთა რუსეთის გამოცდილებით და მით უფრო წარმატებით უნდა შევსძლოთ ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის შესრულება.

როგორც ყოველ ახალ საქმეში, აქაც მოსალოდნელია გაუგებრობა, მისგან გამომდინარე შეცდომები და დაბრკოლებები, მაგრამ მიუხედავათ ყოველივე ამისა ჩვენ უნდა მოვახერხოთ იმ საპასუხისმგებლო ამოცანების სავსებით გადაჭრა, რომლებსაც გვავალებს ჩვენი რესპუბლიკების უშიშროების დაცვა.

უკვე გამოცხადებულია სხვადასხვა მაზრებში 1899, 1900 და 1901 წლებში დაბადებულთა გამოცხადების ვადა. მიმღებ-მიმწერ კომისიებში გამოცხადებულნი განაწილებულ იქნებიან ეგრეთ წოდებულ ტერიტორიალურ ნაწილებში და ჩაირიცხებიან ნამდვილს სამხედრო სამსახურში 4 წლის ვადით. ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ამ ხნის განმავლობაში ისინი მოწყვეტილი იქნებიან თავის მუდმივ სამუშაოს თუ სამსახურს; ისინი ისევე თავის ადგილებზე, თავისივე სოფლებში და დაბა-ქალაქებში დარჩებიან, წელიწადში მხოლოდ ორი თუ სამი თვით მოუხდებათ მათ სავარჯიშო პუნქტებზე გამოცხადება, შეკრება.

ამჟამად მხოლოდ სამხედრო სამსახურში ჩარიცხვა სწარმოებს—შეკრების ვადა კი ცალკე იქნება გამოცხადებული. 4 წლის ვადით სამხედრო სამსახურში მიღებულებმა სულ მხოლოთ რამოდენიმე თვეში უნდა შესძლონ თავისი სამხედრო ცოდნის შევსება და განახლება. ვარჯიშობის დრო ხვადასხვა იქნება ქვეით ჯარებში, არტილერიაში, საინჟინერო ნაწილებში და კავალერიაში.

სამხედრო სწავლება და ვარჯიშობა ტერიტორიალურ ნაწილებზე მიწერილთა შორის იწარმოებს ისეთ დროს, როდესაც გლეხები შედარებით თავისუფალი არიან სამეურნეო მუშაობისაგან. ერთისიტყვით სავსებით დაცულია მშრომელთა ინტერესები და ტერიტორიალურ ნაწილებში გაწვეულთათვის სამხედრო სამსახური არავითარ სიძნელეს და საშინელ ბეგარას არ წარმოადგენს. ტერიტორიალურ ნაწილში მიღებული წითელარმიელი, თუმცა ნამდვილ სამსახურში ითვლება, მაგრამ ის კვლავ თავის ოჯახში იცხოვრებს და ჩვეულებრივ მუშაობას განაგრძობს.

მხოლოდ მთავრობიდან სათანადო განკარგულების მიღებისას ის მოკლე დროით გამოცხადდება თავის ნაწილში სამხედრო ვარჯიშობის გასავლელათ, შემდეგ კი ისევ თავის ოჯახს უბრუნდება. ასეთ სისტემას შეიარაღებული ძალების მშენებლობაში ეწოდება სამილიციო სისტემა და ის დიდ შეღავათს წარმოადგენს მშრომელთათვის, რომლებიც მეფის მთავრობის დროს 4 წლით და ხშირად მეტი დროითაც გამოკეტილი იყვნენ ყაზარმებში.

დღეს ასე აღარ არის, საბჭოთა ხელისუფლებამ უაღრესად გაამარტივა და გააადვილა სამხედრო ბეგარის მოხდა, ბეგარის ნაცვლად ის გახდა მშრომელთა საპატიო მოვალეობა. ყოველი მოქალაქე უნდა სცდილობდეს მუშურ-გლეხური სახელმწიფოს წინაშე ამ საპატიო მოვალეობის პირნათლად შესრულებას.

საბჭოთა ხელისუფლებამ მრავალჯერ მიმართა სხვა სახელმწიფოებს სამხედრო ძალების შემცირების წინადადებით. ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა არ მიიღეს მისი წინადადება და პირიქით ყოველდღიურად აძლიერებენ თავის ძალებს, აუმჯობესებენ თავის სამხედრო ტეხნიკას, ავიაციას და სხვა.

საბჭოთა რესპუბლიკებიც მზად უნდა იყვნენ თავის უშიშროების და მშვიდობიანობის დასაცავად. ტერიტორიალი ნაწილების შექმნა ამ მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებას გვიადვილებს. მის უნაკლოთ შესრულებას ენერგიულად უნდა შევუდგეთ.

გერმანიის მენშევიზმი ბრალდებულის სკამზე

გერმანიის პრეზიდენტ სოციალ-დემოკრატ ებერტის საქმე, რომელსაც ამ ჟამად არჩევს მაგდებურგის სასამართლო, პირდაპირ სასკანდალოა, სასკანდალო არა მარტო ებერტისათვის, არამედ მთელი გერმანიის სოციალ-დემოკრატიისათვის, კიდევ მეტი მთელი მსოფლიო მენშევიზმისათვის.

ერთმა მემარჯვენე გაზეთმა ბრალდება წაუყენა ებერტს იმაში, რომ იგი 1918 წელში, იმპერიალისტური ომის დროს, მხარს უჭერდა მუშების გაფიცვას, რითაც ზიანს აყენებდა „სამშობლოს დაცვის“ საქმეს. ებერტმა ეს თავის შეურაცხყოფად ჩასთვალა და პასუხისგებაში მისცა ხსენებულ გაზეთის რედაქტორი.

მაგრამ ნამდვილად კი საბრალდებო სკამზე ზის არა მემარჯვენე გაზეთის რედაქტორი, არამედ თვით ებერტი და მასთან ერთად გერმანიის მენშევიკების ხელმძღვანელები.

ებერტი და მისი ამხანაგები, მაზე არა ნაკლებათ „ცნობილნი“—შეიდემანი, ნოსკე, მიულერი და სხვ., რომელნიც ამტკიცებდნენ სასამართლოს პროცესის დროს, „თავს იმართლებენ“, ამტკიცებენ, რომ ისინი იმპერიალისტურ ომის წარმოებაში წარმოადგენდენ ვილგელმის მარჯვენა ხელს, ილაშქრებდენ მუშათა გაფიცვის წინააღმდეგ, ცდილობდენ მის ჩაშლას, თუ გაფიცვა მათდაუნებურად მაინც მოხდებოდა და საერთოდ ყოველ ზომას ხმარობდნენ, რათა მუშებს ემუშავათ გერმანულ იმპერიალიზმის სასარგებლოდ.

საინტერესოა, თუ რა ზომებს მიმართავდენ ისინი ამ საქმის. გერმანელ მენშევიკების მეთაურები იყვნენ კაიზერის მთავრობის აგენტები მუშათა კლასში, ნამდვილი პროვოკატორები. ისინი ვერ ბედავდნენ გაფიცვის წინააღმდეგ საჯაროდ და აშკარად გალაშქრებას, ვინაიდან ეშინოდათ მუშათა მასსების რევოლიუციონური განწყობილების. ისინი მოხერხებულად შედიოდნენ საგაფიცვო კომიტეტებში, როგორც ვითომდა მუშების მეგობრები და შიგ ეწეოდნენ დამრღვევ მუშაობას. „დიპლომატიურად“ ცდილობენ გაფიცვის ჩაშლას.

ასეთი „მოღვაწეობისათვის“, გაფიცვის ასეთი „ხელმძღვანელობისათვის“ ებერტისა, შეიდემანისა და ბრაუნისათვის ბავარიის პალატის საჯარო სხდომაზე მადლობაც კი გადაუხდია ბავარიის მინისტრ-პრეზიდენტს.

გერმანიის მენშევიკთა მეთაურები გამოდიოდნენ ჯაშუშების როლში. იმპერიის დროის სამხედრო მინისტრის შტეინის ჩვენებით, 1918 წლის იანვარში მასთან გამოცხადებულა სოციალ-დემოკრატიის პარტიის რწმუნებული და უთხოვია, რათა მას [illegible] მეღითონეთა კრება, რადგან ამ კრებაზე მუშათა მოძრაობის რადიკალური ფრთა უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენებდა პატრიოტულად განწყობილ სოციალ-დემოკრატებს“.

შტეინს სოციალ-დემოკრატების თხოვნით აუკრძალავს მეღითონეთა კრება.

გენერალი ბრისბერგი ამბობს, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკამ სთხოვა მას დაეპატიმრებია „ვიღაც ქალი, სახელად როზა ლიუქსემბურგი“. ამ თხოვნის თანახმად როზა ლიუქსემბურგი კიდეც დაუპატიმრებიათ.

ამ გვარად, სოციალ-დემოკრატებმა გასცეს უდიდესი რევოლიუციონერი, გასცეს, ჩაიდინეს ჯაშუშობა და პროვოკატორობა, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით.

აღსანიშნავია, რომ ამავე დროს მენშევიკები, მუშების მოსატყუებლათ, თაღლითობდნენ, ეწეოდნენ ორმაგ ბუხჰალტერიას. მათ საჯაროთ გაულაშქრებიათ მეღითონეთა კრების აკრძალვის და როზა ლიუქსემბურგის დაპატიმრების წინააღმდეგ, რაც მიერვე იყო მოწყობილი. ე. ი. მოიქცენ ისე, როგორც დახელოვნებული პროვოკატორები და ჯაშუშები,—მუშების თვალის ასახვევად.

საგულისხმოა, რომ ებერტი და კომპანია თავის პროვოკატორულ მუშაობა მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობის, გაფიცვების ჩაშლის საქმეში დიდ დამსახურებად აღიარებენ, დამსახურებად, ცხადია, ვილგელმის იმპერიის და ბურჟუაზიის წინაშე. შეიდემანი აცხადებს: „მაშინ ჩვენ ვიხსენით სამშობლო ისევე როგორც 1918 წელს, როცა ჩვენ წინააღმდეგობა გავუწიეთ გერმანიაში რუსეთიაბური მდგომარეობის დამყარებას“.

დღეს ყველა ვხედავთ ამ „ხსნის“ შედეგს: საფრანგეთ-ინგლის-ამერიკის წინაშე დამონებულ და კოლონიად ქცეულ გერმანიას. რაც შეეხება რუსეთის გახსენებას, ეს ხომ ყველაზე ნაკლებად ლაპარაკობს შეიდემანის პოლიტიკის სასარგებლოდ: ამისათვის საკმარისია მან შეადაროს ერთმანეთს გერმანიის და საბჭოთა კავშირის დღევანდელი შინაური და საერთაშორისო მდგომარეობა.

მაგდებურგის პროცესი ერთხელ კიდევ ამხელს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის, ერთხელ კიდევ ზედმეტად და ფრიად მკაფიო ფორმით ხდის ნიღაბს მათ სამარცხვინო გამცემლობას მუშათა კლასის საქმისადმი.

გერმანიის მუშათა კლასმა აქედან უნდა გამოიტანოს შესაფერი დასკვნა.

ჩვენი მეაბრეშუმეობის საჭიროებანი

სხვა უმაღლეს კულტურებთან ერთად ჩვენ სასოფლო მეურნეობაში თვალსაჩინო ადგილი უკავია მეაბრეშუმეობას, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. ჩვენი აბრეშუმის პარკი ცნობილია კარგი ღირსებით.

მენშევიკების დროს მეურნეობის ეს დარგი თითქმის სრულებით დაეცა, მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ მიექცა მას სათანადო ყურადღება და 1924 წლის მოსავალი უკვე გაუთანაბრდა ომის წინადროინდელ მოსავლის რაოდენობას. წრევანდელი მოსავალი 137.225 ფუთს უდრის.

ჩვენი აბრეშუმის პარკი, როგორც ნედლი მასალა წარსულში და ეხლაც რუსეთში და ევროპაში მიდიოდა გადასამუშავებლად. ნიკოლოზის დროს ეს გასაგებიც იყო, ვინაიდან ყველა განაპირა ქვეყნები მაშინ წარმოადგენდნენ მხოლოდ ნედლი მასალის რაიონებს.

საბჭოთა ხელისუფლება კი მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით შეუდგა ყოფილ განაპირა ქვეყნებში, დღეს კი რესპუბლიკებში, მრეწველობის ცენტრების შექმნას. დასავლეთ საქართველოსათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს ნედლი პარკის დამუშავებას. დღემდე საქართველოში არსებობდა რამოდენიმე რაიონებში პარკის ამომხვევი ქარხნები: 1) სამტრედიაში 52 ჯარა ამომხვევი (დაზგა); 2) თელავში 48 ჯარა, ხონში 48 ჯარა და ოზურგეთში 24 ჯარა, სულ 172 ჯარა, რომლებითაც შეიძლება ამოხვევა მხოლოდ 30 ათას ფუთ პარკის, რაც ჩვენი პარკის მოსავლის ერთ მეხუთედს წარმოადგენს. ესეც კარგი იქნებოდა, რომ არსებული ქარხნები მუშაობდნენ, მაგრამ სიძველის გამო ყველა გაჩერებულია. მუშაობდა სამტრედიის ქარხანა, სამწუხაროთ ესეც დაგვეწვა.

ჩვენი პარკის მოსავალი მთლიანათ უნდა იქნას ამოხვეული ადგილობრივ, ასეთია სადღეისო ლოზუნგი. ამისათვის საჭიროა ათასამდე ჯარა, რომლის შეძენას და მოწყობას დასჭირდება ერთი მილიონი მანეთი. წლიურათ კი ათასი ჯარას ამუშავება მოითხოვს დაახლოებით 3000 მუშა ხელს, ეს კი საკმაოთ გაანელებს ჩვენში უმუშევრობის კრიზისს. პარკის სამრეწველო რაიონები არიან დასავლეთ საქართველოში: სამეგრელო, იმერეთი და გურია. გურიის პარკის მოსავლის დამუშავება მოითხოვს ორას ჯარას 500—600 მუშა ხელით; ქარხანა მოწყობილი უნდა იქნას ოზურგეთში. იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი—300 ჯარა, 800—900 მუშა ხელით, ქარხნის ადგილი სამტრედიაა. სამეგრელოს და სამურზაყანოს მაზრები მოითხოვენ 350 ჯარას, 900—1000 მუშა-ხელით, ცენტრი ზუგდიდი. დანარჩენი 150 ჯარა დააკმაყოფილებს აღმოსავლეთ საქართველოს.

ამოხვეული აბრეშუმი იგივე ნედლი მასალაა, ეს სრულებით არაა ფაბრიკატი, ის რომ ნახევრად ფაბრიკატი გახდეს საჭიროა მისი დაგრეხვა. ამ საჭიროებისათვის 1922 წლის დამლევს იქნა მოტანილი აბრეშუმის საგრეხი ქარხანა მოსკოვიდან (ყოფ. ბილიონის), რომლითაც შეიძლებოდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში მოსულ აბრეშუმის პარკის დაგრეხვა. ამ ქარხანას აქვს დიდი უპირატესობა, შესაძლებელია ნაწილ-ნაწილად მისი დადგმა; ის ოთხ-ხუთ რაიონებში შეიძლება დაიდგეს, ასეთი ქარხანა ჩვენს პირობებში მეტად მისაღებია. იმ რაიონებში, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, საჭიროა აბრეშუმის საგრეხი ქარხნების მოწყობაც, რაც აგრეთვე მუშა-ხელის საკმაო დიდ რაოდენობას მოითხოვს. 1922 წლიდან ეს ქარხანა აწყვია მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის საწყობში, ის ცოტა დაზიანებულია, სჭირდება შეკეთება. მისი შეკეთება და მოწყობა კი გვარიან თანხას მოითხოვს.

ამ ორი ტიპის ქარხნების მოწყობა მეტად საჭიროა დასავლეთ საქართველოში. ამ საქმის მოგვარება უნდა ითავოს მიწათმოქმედების კომისარიატმა, მაგრამ უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ კომისარიატს არ გააჩნია სათანადო თანხა, კომისარიატი საკუთარი სამეურნეო თანხით ვერ სწვდება არა, თუ—ამ საქმის მოგვარებას, არამედ ის ვერ უსწორდება იმ უსაშინელეს სენს—ფილოქსერას, რომელიც მუსრს ავლებს ჩვენს მევენახეობას. აღნიშნულ საჭიროებებისათვის მიწათმოქმედების კომისარიატს უნდა აღმოუჩინოს დახმარება გრძელვადიანი შეღავათიანი სესხის სახით. მიწათმოქმედების კომისარიატს მაშინ შეუძლია ჩვენი სასოფლო მეურნეობისთვის ნაყოფიერად მუშაობა როდესაც მას საკმაო მატერიალური საშუალებები ექნება და მომზადებული ძალები ეყოლება. ამ მხრივ საჭიროა მას დახმარება გაუწიოს მთავრობამ.

ი. ჟვანია.

ნებაყოფლობითი საზოგადოებანი

ამ ბოლო დროს დიდი ყურადღება ექცევა სხვადასხვა ნებაყოფლობითი საზოგადოებების შექმნას. მრავალ ადგილას ეწყობიან საზოგადოებები: წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის, რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე, ფლოტის და ქიმიის მეგობართა, ბავშვების მეგობართა, საშეფო საზოგადოებანი და მრავალი სხვა. ამ საზოგადოებათა მუშაობაში ებმებიან ფართე მშრომელი მასსები.

ნებაყოფლობითი მუშათა საზოგადოებები—ეს ახალი ფორმაა მშრომელთა საზოგადოებრივობის და მაჩვენებელია პროლეტარულ და გლეხურ მასსების აქტივობის ზრდის.

და ეს საზოგადოებანი სწორედ იმდენად გაამართლებენ თავის არსებობას, რამდენადაც ხელს შეუწყობენ მათში ჩაბმულ მუშა და გლეხების თაოსნობის, აქტივობის, თვითმოქმედების გაღვიძებას და გამოაშკარავებას.

ამასთან ამ გზით ისინი უფრო ფართედ გაშლიან თავის მუშაობას და უფრო ადვილად მიაღწევენ დასახულ მიზანს.

არ შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ჩვენში სავსებით დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იყოს.

ერთ მთავარ ნაკლად ამ საზოგადოებათა მუშაობაში უნდა ჩაითვალოს რამოდენიმედ მექანიკური მიდგომა მათი ორგანიზაციისადმი. არის შემთხვევები, როცა საზოგადოებები შაბლონურად ეწყობიან. ესა თუ ის ორგანიზაცია გამოყოფს რწმუნებულს, რომელიც საკმაო აგიტაცია-პროპაგანდის გაუწევლად კრეფს წევრებს, აგროვებს საწევრო ფულს, შემდეგ იწვევს საზოგადოების წევრთა კრებას საინფორმაციო მოხსენების მოსასმენად, და მეტ წილად ამით განისაზღვრება ნებაყოფლობითი საზოგადოების მუშაობა.

ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაობას და მდგომარეობას ჩვეულებრივ აფასებენ თითქმის მარტო წევრების რიცხვის მიხედვით. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ნებაყოფლობითი საზოგადოებებში მონაწილე მუშების და გლეხების რაოდენობას, მაგრამ თუ საზოგადოება მხოლოდ საწევრო ფულს აგროვებს, მოუწოდებს არიგებს და ვაჭრობს დაშვებული ნიშნებით,—ასეთ რამეს ყველაზე ნაკლებად შეიძლება ეწოდოს მშრომელთა საზოგადოებრიობა.

პირველ ყოვლისა საჭიროა, რომ ნებაყოფლობითი საზოგადოებანი ნამდვილად იყვნენ ასეთები. მექანიკურად წევრად ჩარიცხვას არამცდაარამც არ უნდა ჰქონდეს ადგილი. არ უნდა იქნეს დაშვებული რაიმე იძულება პროფესიული ან სხვა რაიმე წესით. ამა თუ იმ საზოგადოებაში წევრად შესვლა სავსებით უნდა იყოს შედეგი თვითეული მუშის თუ გლეხის პირადი შეგნების და ნებისყოფის. ეს კია, რომ მშრომელთა ჩასაბმელად ნებაყოფლობითი საზოგადოებებში ჩვენ უნდა გავსწიოთ ფართე აგიტაცია-პროპაგანდა.

შემდეგ: ფართედ უნდა იქნას გამოყენებული საზოგადოების მუშა და გლეხ წევრთა აქტივობა, მათი მისწრაფება იმუშაონ საზოგადოებრივი ორგანიზაციის სასარგებლოდ, ყოველ მუშას თუ გლეხს, რომელიც ეწერება ამა თუ იმ საზოგადოებაში, სურს იყოს მისი აქტიური წევრი, და არა მარტო საწევრო გამოსაღების პასიური გადამხდელი და საზოგადოების ნიშნის მატარებელი.

ეს თავის თავად გამომდინარეობს თვით ნებაყოფლობითი საზოგადოებათა ბუნებიდან, ისინი უმთავრესად უნდა ისახავდნენ იდეურ, პოლიტიკურ აღმზრდელობითი მიზნებს—ფართე მუშათა მასსების ჩაბმას ორგანიზაციულ მუშაობაში, როგორც თვითეულ მუშის, ისე მთელ მუშათა მასსის ინიციატივის გაღვიძებას და გამოყენებას.

სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარმართონ და გააღრმავონ თავისი მუშაობა ჩვენში მრავლად არსებულმა სხვადასხვა ნებაყოფლობითმა საზოგადოებებმა.

X.

ინგლისის პროფკავშირების დელეგაცია გაემგზავრა ლონდონში

„ჩვენ ერთმანეთს შევხვდებით ბარიკადებზე“

ამერიკამ დაარღვია საერთაშორისო უფლების ელემენტარული მოთხოვნილებები

„ჩაგრული ერები საბჭოთა კავშირში ხედავენ თავის ხსნას“.—პარიზში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ამხ. მდივანი.—ჩეხიის ნაციონალ-სოციალისტები მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას.—გაიხსნა საბჭოთა კავშირის და გერმანიის სარკინიგზო კონფერენცია.—ამხ. კარახანმა ინახულა ჩინეთის პრეზიდენტი, რომელთანაც ჰქონდა ხანგრძლივი მეგობრული ბაასი.

ინგლისის დელეგაცია წავიდა

„ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს ბარრიკადებზე“

ლენინგრადი. 16 დეკემ. 15 დეკემბერს ინგლისის ტრედ-იუნიონების დელეგაცია ლენინგრადიდან საზღვარ-გარეთ გაემგზავრა. მოედანი სადგურის წინ გაჭედილი იყო ხალხით. სადგურზე დელეგაციას შეხვდენ ძახილით: „გაუმარჯოს ინგლისის მუშათა კლასს!“ შემდეგ სადგურის მოედანზე გაიმართა მიტინგი.

პურსელმა თავის სიტყვაში სთქვა: „საბჭოთა კავშირში ყოფნის უკანასკნელ დღეს თვითეული ჩვენგანი გრძნობს უფრო მეტ გამბედაობას და ძალას, ვიდრე წინად ჩვენ საერთო საქმეში,—მუშათა ერთიანი ფრონტისათვის ბრძოლის საქმეში. რუსეთის მუშამ დაამტკიცა, რომ მუშათა კლასს შეუძლია არა მარტო მოსპოს მონარქია, არამედ შექმნას თავისი სახელმწიფო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც ინგლისის მუშათა კლასი შესძლებს ამავე საქმის გაკეთებას. ჩვენ ვუცხადებთ მადლობას რუსეთის მუშებს—იმ ახალი გზის გაკაფვისათვის, რომლითაც უნდა წავიდენ მთელი მსოფლიოს მუშები“.

მიტინგი დამთავრდა გლებოვ-ავილოვის მოკლე სიტყვით. მან გამოსთქვა იმედი, რომ ხელახლა შეხვდებიან ინგლისელ ამხანაგებს ბარრიკადებთან მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

„ურას“ ძახილით და მუსიკით გააცილეს პეტროგრადის მუშებმა დელეგაციის მატარებელი. ინგლისელი ამხანაგები ესალმებოდენ მუშებს რუსულ ენაზე.

ბანკეტი ინგლისის დელეგაციის საპატივცემლოთ.

ლენინგრადი. 15 დეკემ. ბანკეტზე, რომელიც გამართა საგუბერნიო პროფსაბჭომ ინგლისის დელეგაციის საპატივცემლოთ, პურსელმა უპასუხა ტომსკის მილოცვას და განაცხადა: „თქვენი მუშაობა—ეს დიადი გაკვეთილია, ჩვენ გვიკვირს, როგორ გადაიტანა რუსეთის მუშათა კლასმა ბლოკადა, სიმშილი და სხვა და სხვა ავადმყოფობანი. ინგლისის კაპიტალისტური კლასი ძლიერი და მოხერხებულია, ის ეშმაკობით სჯობნის სხვა ქვეყნების კაპიტალისტურ კლასებს. ის დიდ ფულს ხარჯავს, რომ თავის მხარეზე გადაიყვანოს ჩვენი ბელადები. ბურჟუაზიის ასეთი პოლიტიკა ხელს გვიშლის ჩვენ განვახორციელოთ მუშათა კლასის ძირითადი მიზანი, მაგრამ ჩვენ მაინც შევსძლებთ მის განხორციელებას. ჩვენ აღფრთოვანებული ვართ თქვენი რევოლიუციონერობით. თქვენ ბევრი რამ გააკეთეთ. თქვენ სწორათ გადასწყვიტეთ ეროვნული საკითხი, ეს კი იმის სასარგებლოთ ლაპარაკობს, რომ თქვენ ასეთივე სწორ გზას გამონახავთ მომავალი ომების თავიდან ასაცილებლათ“.

ამხ. ტერნერი—ლენინგრადის საბჭოთა მუშაკების კავშირის წევრი.

ლენინგრადი. 15 დეკემბერი. ინგლისის დელეგაციის წევრი ტერნერი 14 დეკემბერს დაესწრო საბჭოთა მუშაკების კონფერენციას, სადაც წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა დელეგაციის მიზნების შესახებ. ტერნერი ესალმა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის დიდ მიღწევებს ყველა დარგებში. „მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ—მინახავს მე,—სთქვა მან—ისეთი გულწრფელი შეხვედრა, როგორიც ჩვენ გაგვიმართეს საბჭოთა კავშირში“. კონფერენციამ დაადგინა მიიღოს ტერნერი საბჭოთა მუშაკების კავშირის წევრათ, რასაც დამსწრეები მქუხარე ტაშით შეხვდენ.

ჩაგრული ერები ჩვენთან არიან

მოსკოვი, 15 დეკ. სრულიად საკავშირო სახალხო კვების მუშაკთა ყრილობაზე ამხ. ბუხარინმა გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ბუხარინმა განაცხადა: „შორეულ აღმოსავლეთში მომხდარ ამბებს მიხედვით ჩვენ ვხედავთ, რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ჩვენს ნაციონალურ პოლიტიკას. დაინგრევა თუ არა ამის გამო ჩვენი სახელმწიფო? რა თქმა უნდა, არა. სახელმწიფოებრივ აპარატთან ერთად, დამოუკიდებელ რესპუბლიკების გვერდით ჩვენ გვყავს უძლიერესი, კომუნისტური პარტია. ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის წყალობით ჩვენ მოვიპოვეთ მთელი მსოფლიოს ჩაგრულ ერთა სიმპათიები. საბჭოთა კავშირის ავტორიტეტის ზრდა და დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის სიმპატიები საბჭოთა კავშირისადმი აიხსნება საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო ფრონტის წარმატებით. რამდენადაც ჩვენ ძლიერი ვიქნებით შიგნით, მით უფრო დავუმტკიცებთ საერთაშორისო პროლეტარიატს, რომ ჩვენ ვმუშაობთ საერთაშორისო რევოლიუციის გამარჯვებისათვის.

გერმანია არჩევნების შემდეგ

მარქსის მუდარა.

ნაუენი. 16 დეკ. კანცლერმა მარქსმა ახალი მოწოდებით მიმართა პარტიების ლიდერებს, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოუღონ ბოლო გერმანიის კაბინეტის კრიზისს. კანცლერი ფიქრობს, რომ შინაური და საგარეო პოლიტიკის ინტერესები მოითხოვენ მთავრობის დაჩქარებით შედგენას. კაბინეტის საკითხის გადაჭრა მაინც დაგვიანდება ამ კვირის ბოლომდე, რადგან მხოლოდ ამ ხნის განმავლობაში შეუძლიათ რეიხსტაგის ფრაქციებს თავიანთი მოქმედების გეზის გამორკვევა.

გერმანიის ელჩი.

ნაუენი. 16 დეკ. გერმანიის ელჩი პარიზში ფონ-გეში ჩავიდა ბერლინში, სადაც გერმანიის მთავრობასთან ერთად განიხილავს მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს.

საყოველთაო გაფიცვა პოლონეთში

ვარშავა. 16 დეკემბერი. მიუხედავად საყოველთაო გაფიცვის შეწყვეტისა, ლოძში გრძელდება ტრამვაის მუშების ენერგიული გაფიცვა მოსალოდნელია კონფლიქტი აგრეთვე სატელეფონო წარმოებებშიაც. მუშების სულიერი განწყობილება რევოლიუციონურია. ბურჟუაზიული გაზეთები მიუთითებენ პროფესიონალურ ორგანიზაციების ურიგობაზე, ვინაიდან პროფკავშირებში ოპოზიცია უფრო და უფრო მეტ გავლენას პოულობს მუშებში.

ტერორი სამხრეთ-სლავიაში

ვენა. 15 დეკემ. სამხრეთ-სლავიის მთავრობამ თანახმად კანონისა სახელმწიფოს დაცვის შესახებ დაადგინა დაშალოს დამოუკიდებელი მუშათა პარტია. პარტიის დაშლის შესახებ გამოცემულ ბრძანების თანახმათ, ბელგრადის პოლიციამ გაჩხრიკა პარტიის ბიუროს ბინა და დაბეჭდა პარტიული ორგანოს რედაქცია.

უკანასკნელი დღეების განმავლობაში ბელგრადის პოლიცია ჩხრეკას ახდენს კომუნისტების ბინებში. კომუნისტური პარტიის ზოგიერთ გამოჩენილ მოღვაწეებს ჩხრეკენ ქუჩებზე. კონფისკაცია უკეთებენ წიგნებს და ყოველგვარ სხვა ლიტერატურას. მთავრობა ფიქრობს, რომ ჩამორთმეულ ქაღალდებში გამოიძებნება მასალა, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნება პროცესის დაწყება დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წინააღმდეგ.

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

მოსკოვი. 15 დეკ. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ მიიღო ამსტერდამის პროფკავშირთა ინტერნაციონალისაგან პასუხი 23 ოქტომბერს გაგზავნილ წერილზე საერთაშორისო მუშათა ყრილობის მოწვევის შესახებ. პასუხში ნათქვამია, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალის გენერალური საბჭო აღმასკომთან ერთად გახსნის თავის სხდომას 5 თებერვალს და მაშინ იქნება განხილული სრ. რუს. პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს წერილი.

ჩვენ და ამერიკა

ამხ. ჩიჩერინის ნოტა იუზისადმი

მოსკოვი, 15 დეკემბერ. საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა გაუგზავნა ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრს იუზს ვაშინგტონში შემდეგი დეპეშა.

„საკავშირო ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჩამოიტანეს მოსკოვში მათ მიერ ჩუკოტის ნახევარკუნძულზე, ნავთსადგურ ემმაში, პუხინოს კონცხზე აღმოჩენილი რგვალი სპილენძის ნიშანი, რომელიც ჩასობილი იყო კლდეში შემდეგი წარწერით: „სადგური [illegible] ამერიკის ნაპირების გეოდეზიური გამოკვლევებისათვის, ცნობებისათვის მიმართეთ მთავარ მეთვალყურეს ვაშინგტონში. ამ ნიშნის მოძრაობისათვის დამნაშავე დაჯარიმებული იქნება 230 დოლარით ან დაპატიმრებით“.

ეს ნიშანი, გაკეთებული 1920 წელს ადასტურებს იმ დათვალიერებას, რომელიც მართლაც მოახდინა იმ დროს და სხვა წლებში დამცველ კრეისერმა „ბირს“, რომელიც ეკუთვნის ამერიკას.

აღნიშნავ რა პირველყოვლისა, რომ ამერიკის სამხედრო გემი არაერთხელ შემოსულა საბჭოთა კავშირის ტერიტორიალურ წყლებში საამისო ნებართვის გარეშე, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს, მე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ზემოდ აღნიშნული ნიშნის გაკეთება და მასზე წარწერილი ასეთი მუქარა საბჭოთა კავშირის მოქალაქეების მისამართით არის საბჭოთა რესპუბლიკების სუვერენიტეტის უხეშად დარღვევა.

მე გადაჭრით პროტესტს ვაცხადებ ამერიკის მთავრობის წინაშე იმ თანამდებობის პირთა უკანონო ქმედების წინააღმდეგ, რომლებიც ვერ არჩევენ, სად თავდება მათი სახელმწიფოს ტერიტორია და სად იწყება ტერიტორია მეორე სუვერენულ ქვეყნის და მოვალეობათ ვსთვლი განვაცხადო, რომ საბჭოთა კავშირის კანონიერ უფლებების ასე დარღვევას, თუ ეს კვლავ განმეორდა, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს საბჭოთა მთავრობა.“

ჩვენი ურთიერთობა ევროპასთან

მოსკოვი. 15 დეკ. 14 დეკემბერს პარიზში გაემგზავრა ამხ. მდივანი—საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი საფრანგეთში.

მოსკოვი. 15 დეკ. 15 დეკემბერს გაიხსნა საბჭოთა კავშირის და გერმანიის სარკინიგზო კონფერენცია. კონფერენცია უნდა შემდგარიყო ჯერ კიდევ 11 მაისს, მაგრამ ამას ხელი შეუშალა კონფლიქტმა, რომელიც გამოიწვია თავდასხმამ ბერლინის სავაჭრო წარმომადგენლობაზე.

ვინ არის დიქსონი?

მოსკოვი, 15 დეკ. მწერალი დიქსონი, რომელმაც განიზრახა თავდასხმა კრასინზე პარიზში, საკმაოდ არის ცნობილი მოსკოვის ძველ ლიტერატურულ წრეებში. ელეონორა დიქსონი სულით ავადმყოფია. ის თანამშრომლობდა „ნოვოე ვრემია“-ში უცხოელ მოხეტიალე კორესპონდენტის სახით, შემდეგ გადმოდის რუსეთში და თანამშრომლობს ლიბერალურ ჟურნალ-გაზეთებში. დიქსონს თავი მოჰქონდა აზეფის სატრფოდ. შეპყრობილი იყო დევნილობის მანიით, იყო მოთავსებული მოგილოვის პსიქიატრიულ საავადმყოფოში. რევოლიუციის შემდეგ დიქსონი კვლავ გაჩნდა მოსკოვში. ის მოთავსებულ იყო პსიქიურად ავადმყოფთა განყოფილებაში კანატჩიკოვის აგარაკზე.

ერთი წლის წინ, ღამით, დიქსონი სადღაც გაქრა, ეხლა კი კვლავ გამოჩენილა პარიზში.

დამოკიდებულება ჩეხო-სლოვაკიასთან

პრაღა. 15 დეკემბერი. ჩეხის ნაციონალისტ-სოციალისტების ორგანომ „ჩესკე სლოვო“-მ გამოაქვეყნა საერთაშორისო უფლების პროფესორის გობზას წერილი, რომელშიაც ის მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცნობას ჩეხო-სლოვაკიის მიერ და ხაზს უსვამს იმას, რომ სასურველი არ არის ამ საქმის გადადება. გობზა აღნიშნავს, რომ აუცილებელია ემიგრანტების საკითხების გადაწყვეტა ჩეხო-სლოვაკიაში და სავაჭრო ურთიერთობის მოგვარება საბჭოთა კავშირთან.

ჩვენი და ჩინეთის მეგობრობა

პეკინი. 15 დეკემ. კარახანი მიიღო ჩინეთის პრემიერმა დუან-ძი-ჩჟუიმ, რომელთანაც მას ხანგრძლივი, გულწრფელი საუბარი ჰქონდა. დუან-ძი-ჩჟუიმ განაცხადა, რომ ის სრული ნდობით და სიმპატიით ეპყრობა საბჭოთა კავშირს.

ჩემბერლენის ახალი პოლიტიკა

საყურადღებო შესწორება.

ლონდონი, 15 დეკემბ. თემთა პალატაში, მეფის სიტყვის საპასუხო ადრესის გარშემო გამართულ კამათის დროს, მუშათა პარტიის წარმომადგენელმა ტრაველიანმა წამოაყენა შესწორება, რომელშიაც გამოთქმულია მწუხარება მთავრობის პოლიტიკის გამო ეგვიპტისა და საბჭოთა კავშირის მიმართ.

შესწორება კიცხავს დაუსაბუთებელ მოთხოვნილებას, რომელიც წარუდგინა ეგვიპტის მთავრობას და აღნიშნავს, რომ ლი-სტეკის მკვლელობა გამოყენებული იყო იმ მიზნით, რომ გადიდებული ყოფილიყო აქციები იმ სინდიკატის, რომელსაც ბამბის პლანტაციები აქვს სუდანში.

საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხის შესახებ შესწორება აღნიშნავს, რომ სხვა სახელმწიფოები რუსეთს სთვლიან ერთ-ერთ უდიდეს საერთაშორისო ბაზრათ და მასთან ხელშეკრულებებს სდებენ, ინგლისი კი უარყოფს ასეთ პოლიტიკას. ასეთი ხელშეკრულებები დადებულია შვეციასთან, იტალიასთან, ესპანეთთან, ჩინეთთან და ბალტიის სახელმწიფოებთან. გერმანია, იაპონია და საფრანგეთიც აგრეთვე აწარმოებენ მოლაპარაკებას სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ რუსეთთან.

შესწორება აღნიშნავს, რომ ინგლისის კონსერვატიული მთავრობის პროვოკაციამ და კონსერვატორების გამარჯვებამ არჩევნებში აუცილებელი გახადა „უარის თქმა“ ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების იმ მუხლზე, რომელიც გულისხმობს საბჭოთა კავშირისათვის მისაცემ სესხის უზრუნველყოფას; მაგრამ დანარჩენი მუხლები არ უნდა იქნეს უარყოფილი. კონსერვატიული მთავრობა ფიქრობს ნორმალური ურთიერთობა დაამყაროს რუსეთთან 1921 წლის სავაჭრო ხელშეკრულების საფუძველზე, მაგრამ ეს ხელშეკრულება ფაქტიურათ უკვე აღარ არსებობს. ამის შედეგი იქნება—ნათქვამია შესწორებაში—რუსეთის მტრული პოზიცია ინგლისის მიმართ.

ნაუენი. 16 დეკ. „ჩიკაგო ტრიბუნ“-ის ლონდონელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ჩემბერლენის მომავალი პოლიტიკის საფუძვლები ასეთია: პირველად—ინგლისი, შეშინებული გერმანიაში მყოფ მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის მოხსენებით და დარწმუნებული, რომ საფრანგეთის და ინგლისის უშიშროება მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, მიემხრობა მომავალში საფრანგეთის შეიარაღებული ძალების შეუმცირებლად დატოვებას და მოქმედების საერთო გეგმის შემუშავებას; მეორედ—ინგლისი შეეცდება შეუმუშავებელი იქნეს ამერიკისათვის ევროპის ვალების გადახდის საერთო გეგმა, მესამედ—საფრანგეთი და იტალია გააერთიანებენ პოლიტიკას ჩრდილოეთ აფრიკაში; მეოთხედ—დამყარდება მთავრობების სრული ნეიტრალიტეტი საბჭოთა კავშირთან კერძო კომერციული დამოკიდებულების [illegible]

ხუთშაბათს, საღამოს, 7 საათზე
დანიშნულია

საქ. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.
საქ. ცაკის მდივანი—ს. თოდრია.

იტალიის შრომის კონფედერაციის კონგრესი

რომი. 15 დეკ. იტალიის შრომის კონფედერაციის კონგრესზე, რომელიც მიმდინარეობს რომში, რეფორმისტები სასტიკად ილაშქრებენ კომუნისტების წინააღმდეგ, რითაც სურთ ნიადაგი მოუმზადონ მათ გამორიცხვას მომავალში. კონფედერაციის ერთ-ერთმა ცნობილმა მუშაკმა რეფორმისტმა ბალდეზიმ განაცხადა: „ჩვენი მთავარი მტერია—კომუნიზმი და რეაქცია."

წარმოდგენილი იქნა სამი რეზოლიუცია; კომუნისტების რეზოლიუცია მოითხოვს ხელის აღებას ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის ტაქტიკაზე, ერთიანი კლასობრივი ფრონტის შექმნას ფაშისტური მთავრობის წინააღმდეგ, არსებული რეჟიმის დამხობის და მისი მუშების და გლეხების ხელისუფლებით შეცვლის მიზნით. რეზოლიუცია მოითხოვს აგრეთვე პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენას, ყრილობის მოწვევას წითელი და ამსტერდამის პროფესიონალური ინტერნაციონალების გაერთიანებლათ.

რეფორმისტები თავიანთ რეზოლიუციაში აღნიშნავენ მათ მტრულ განწყობილებას ფაშიზმისადმი და მოითხოვენ პროფმოძრაობის დამოუკიდებლობას პოლიტიკურ პარტიებისაგან; ისინი აგრეთვე მოითხოვენ კონფედერაციისაგან საკუთარი პოლიტიკური გზის გამომუშავებას და მჭიდრო კავშირის დაცვას ამსტერდამთან.

მაქსიმალისტების რეზოლიუცია ჰკიცხავს თანამშრომლობის ტაქტიკას, აღიარებს პროლეტარიატის კლასობრივი აღზრდის აუცილებლობას სოციალიზმისათვის ბრძოლის ნაყოფიერად ჩატარებისათვის; მაქსიმალისტებსაც აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნიათ კავშირის დაცვა ამსტერდამთან, რათა გაძლიერებულ იქნეს მასში კლასობრივი ტენდენციები.

კომუნისტების რეზოლიუციას მიემხრო—33,000 კაცი, მაქსიმალისტების—55,000, რეფორმისტების—150 ათასი.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის

მოსკოვი. 15 დეკ. მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარემ ამხ. კრუპსკაიამ „როსტას" თანამშრომლებთან საუბრის დროს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ დეკრეტის გამოცემიდან 5 წლის შესრულების გამო, განაცხადა:

„ამჟამად სალიკვიდაციო პუნქტების რიცხვი გაიზარდა 20.000-დე; ხოლო იქ მოსწავლეთა რიცხვი 500 ათას კაცამდე. გასულ 5 წლის განმავლობაში სალიკვიდაციო პუნქტებში გატარდენ 6 მილიონი უცოდინარი. გამოცემულია 8 მილიონი „ანბანი". დიდი დახმარება წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტებს გაუწია საზოგადოებამ: „ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა", რომელშიაც ირიცხება 1189 საქალაქო და 677 სასოფლო უჯრედი—250.000 წევრით.

კრუპსკაიას აზრით, ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისათვის ჩვენ შევძლებთ ლენინის ანდერძის ცხოვრებაში გატარებას—ე. ი. აღარ გვეყოლება არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი."

მხეცი-კაცის გასამართლება

ბერლინი. 14 დეკ. ხარმანის (პოლიციის მოხელე, რომელსაც ბრალათ ედება სექსუალური მკვლელობანი) საქმის შესახებ დაკითხული იქნენ ხარმანის მსხვერპლთა მშობლები და ნათესავები. მშობლები სასტიკათ აკრიტიკებენ ჰანოვერის პოლიციას, რომლის დახმარებით ხარმანმა ჩაიდინა 30 მკვლელობა. სასამართლოს თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე პრესის წარმომადგენლებს აუკრძალა ცნობების მოთავსება ჰანოვერის პოლიციის დანაშაულობის შესახებ, რადგან ეს „საქმეს არ შეეხება".

ხარმანი დამნაშავეთ სთვლის თავს მრავალ მკვლელობაში. ხარმანის მსხვერპლათ ხდებოდენ 16—20 წლის ახალგაზრდები. მკვლელი ყელს სჭრიდა თავის მსხვერპლს.

პროფინტერნში

მუშათა მოძრაობის ზრდა იტალიაში

მოსკოვი. 14 დეკემ. პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ მოისმინა მოხსენება საქმეთა ვითარების შესახებ იტალიაში. იტალიაში ამ ჟამათ შემჩნეულია მუშათა მოძრაობის ზრდა, რაც გამოწვეულია ეკონომიური კრიზისით და მუშების საარსებო პირობების გაუარესებით. ერთი წლის განმავლობაში რეალური შრომის ხელფასი შემცირდა 80 პროც.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში შრომის გენერალურმა კონფედერაციამ გაახამკეცა თავისი წევრების რიცხვი, რომელიც ამ ჟამათ უდრის 400,000 კაცს. ფაშისტური პროფმოძრაობა, პირიქით, იშლება. რეფერენდუმმა, რომელიც ამას წინათ მოხდა მილანის მელითონეებს შორის, ფაშისტებს მისცა მხოლოდ 120 ხმა, იმ დროს, როდესაც კლასიურმა კავშირმა მიიღო 21,000 ხმა. ნეაპოლში გაფიცვა გამოაცხადა ნავთსადგურების 10,000 მუშამ; ისინი მოითხოვენ, რომ მათ უფლება მიეცეს მოაწყონ თავისი კლასიური კავშირი.

იტალიის მუშათა მოძრაობის საერთო გაცხოველება აიძულებს რეფორმისტებს რეპრესიულ ზომებს მიმართონ კომუნისტების წინააღმდეგ. ამასთანავე რეფორმისტები, რომლებიც შეშინებული არიან მუშების მასიური შესვლით პროფესიონალურ ორგანიზაციებში, წინადადებას იძლევიან შეწყვეტილი იქნეს არაკვალიფიკაციურ მუშების მიღება პროფკავშირებში; ამრიგათ მათ სურთ პროფკავშირების გადაქცევა მუშათა არისტოკრატიის ორგანიზაციებათ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ლენინის გარდაცვალების 1-ლი წლის თავისათვის

მოსკოვი. 15 დეკემბერი. ვლადიმერ ილიჩის გარდაცვალების წლის თავის გამო, ლენინის ინსტიტუტის საბჭომ დაადგინა, გარდა ორი დამატებითი ტომის გამოცემისა, 1925 წლის განმავლობაში გამოუშვას ლენინის თხზულებათა ახალი შესწორებული და შევსებული კრებული.

„ისკრის" დაარსებიდან 25 წლის შესრულების გამო საჭიროთ იქნა ცნობილი ძველი „ისკრას" ხელახალი გამოცემა და ყველა იმ გამოქვეყნებულ მასალების მოთავსება, რომელიც ეხება „ისკრას" პერიოდს. აგრეთვე გამოცემული იქნება გამოუქვეყნებელი მიწერ-მოწერა ამხანაგებთან რუსეთიდან.

უკრაინა

მთელი მსოფლიოს მფრინავებს

ხარკოვი. 15 დეკემბერი. ხარკოვის მფრინავებმა მთელი მსოფლიოს მფრინავებს მიმართეს მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია:

„ღრმა მწუხარება და აღშფოთება გამოიწვია ჩვენში ცნობამ იმის შესახებ, რომ ესტონეთის მთავრობამ დახვრიტა სამხედრო მფრინავები, რომლებმაც უარი სთქვეს ყუმბარები დაეშინათ აეროპლანებიდან თავის მოძმე ესტონელ მუშებისათვის. ჩვენ აღფრთოვანებული ვართ ამ ამხანაგების გმირობით, რომლებმაც უარი სთქვეს გამხდარიყვნენ ხალხის ჯალათებათ და ავიაცია გადაექციათ რევოლიუციონური მშრომელი მასების დასჯის იარაღათ. ჩვენ გვწამს, რომ იმპერიალისტური არმიების მფრინავები საკმაო გამბედაობას გამოიჩენენ, როდესაც ეს საჭირო იქნება, და ისე მოიქცევიან, როგორც მოიქცნენ ესტონელი მფრინავები".

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

შავი ქვა ამერიკაში

ფოთი. 15 დეკემბერი. ინგლისის დროშით „ჩემო"-ს მისამართით მოვიდა გემი „ლევინგტონია" შავი ქვის წასაღებად, რომელიც იგზავნება ამერიკაში. გემს განზრახული აქვს წაიღოს 6,300 ტონა შავი ქვა.

— ქუთაისი. 16 დეკემბერი. დაიწყო გლეხკომების ხელახალი არჩევნები.

სტიპენდიები სახელ. უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის

ქუთაისი. 16 დეკემბერი. თვითშრომელთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის დანიშნა სამი სტიპენდია, თვიური 30 მან. რაოდენობით.

ქუთაისის საფეიქრო ფაბრიკა

ქუთაისი. 16 დეკემბერი. ქუთაისის საფეიქრო ფაბრიკაში მუშები ამ ჟამათ სამ წყებათ მუშაობენ, რამაც ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების გადიდებას 80 პროც. ფაბრიკის გაფართოვების მიზნით, გადაწყვეტილია ამუშავებულ იქნეს 20 საფეიქრო დაზგა; მიღებულია ზომები ამ დაზგებისათვის საჭირო ნაწილების შესაძენათ.

აფხაზეთი

ტყის ხანძარი

სოხუმი. 16 დეკემბერი. უკანასკნელი კვირის განმავლობაში, მშრალი ამინდის გამო, აფხაზეთის მრავალ ადგილებში დაიწყო ტყის ხანძარი.

საკრედიტო კოოპერაცია საქართველოში

საკრედიტო ამხანაგობათა რიცხვი საქართველოში დღითი-დღე მრავლდება. თანახმად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობის 24 ნოემბრის დადგენილებისა, გურიაში უნდა დაარსებულ იქნეს კიდევ 7 საკრედიტო ამხანაგობა, გარდა იმ ექვსისა, რომელნიც ამ ჟამად კიდევაც მოქმედებენ იქ.

ამხანაგობები დაარსებულია და მოქმედებენ: ოზურგეთში, ლანჩხუთში, სუფსაში, ჩოხატაურში, ხიდისთავში და ნაგომარში.

ახალი საკრედიტო ამხანაგობები უნდა დაარსდეს: სურებში, მიქელგაბრიელში, ასკანაში, აკანაში, ბახვში, შემოქმედში და ლიხაურში.

ბათომის განყოფილებას და ამ განყოფილების რაიონის საკრედიტო ამხანაგობათა ინსპექტორს მიეცა გამგეობისაგან განკარგულება დაუყოვნებლივ შეუდგეს აღნიშნულ ამხანაგობათა დაარსებას და მოწყობის საქმეს ადგილობრივად.

ამგვარად, სულ მოკლე ხანში გურიას ექნება 13 საკრედიტო ამხანაგობა და სრული იმედია, რომ გურიის გლეხობა თავის ჩვეულებრივ შეგნებას, ინიციატივას და აქტივობას შეიტანს ამ, სოფლის მეურნეობის აღორძინებისა და განვითარებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმეში.

იმავე 24 ნოემბრის სხდომაზედ სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობამ მოისმინა მოხსენება საკრედიტო ამხანაგობათა დაარსების შესახებ რაჭა-ლეჩხუმში, სადაც იგი საგანგებოდ ამ საქმეზედ მივლინებული იყო გამგეობისაგან.

ადგილობრივი პარტიულ და საბჭოთა დაწესებულებების წარმომადგენლებთან შეთანხმებით და მათივე დახმარებით საკრედიტო ამხანაგობები დაარსებულია 5-დან 22 ნოემბრამდე შემდეგ ადგილებში:

რაჭაში 5 საკრედიტო ამხანაგობა: ღებში, ონში, ამბროლაურში, ჭელიაღელეში და პატარა-ონში.

ლეჩხუმში 4 საკრედიტო ამხანაგობა: ცაგერში, ლაილაშში, ჭრებალოში და მექვენაში.

მოთხოვნილება კრედიტისა რაჭას და ლეჩხუმში განსაკუთრებულია: სახნავ-სათესი მიწის სიმცირე და სიღარიბე, მოუსავლობა, მუშა-საქონლის უქონლობა, სასოფლო-სამეურნეო იარაღების, საწამლო და სხ. მასალების უქონლობა არ აძლევს გასაქანს რაჭა-ლეჩხუმის გლეხ-კაცობას და არ არის გასაკვირი, რომ ასეთ პირობებში მყოფი სოფლის მუშა ხალხი სიამოვნებით შეეგება საკრედიტო ამხანაგობათა დაარსებას ადგილობრივად.

არა უმეტეს 4 თვის განმავლობისა სასოფლო-სამეურნეო ბანკის ძალებით ადგილობრივი პარტიულ და საბჭოთა დაწესებულებების წარმომადგენლების დახმარებით და თვით მოსახლეობის ინიციატივით დაარსებულ საკრედიტო ამხანაგობათა რიცხვი საქართველოში ა | წ. 28 ნოემბრისათვის უდრის 80-ს.

ეკონომიური თვალსაზრისით მნიშვნელოვან ადგილობრივ ცენტრებს თითქმის ყველას აქვს თავისი საკრედიტო ამხანაგობა და ბანკის ახლო მომავლის მიზანს შეადგენს შეძლებისდაგვარად დაარსოს საკრედიტო ამხანაობა საქართველოს ყოველ თემს.

სულ დაარსებულია, როგორც ავღნიშნეთ, 80 საკრედიტო ამხანაგობა: აქედან აღმოსავლეთ-საქართველოში დაარსებულია 41 ამხ-ბა დასავლეთ საქართველოში—39.

დაარსებული საკრედიტო ამხანაგობები მაზრებისა და ავტ. ოლქების მიხედვით განაწილებულია ამგვარად:

აღმოსავლეთ-საქართველო: სიღნაღის მაზრაში 10 ამხ—ბა; თელავის—6, თბილისის—6, ბორჩალოს—2, გორის—6, დუშეთის—5, ახალციხის—2, ახალქალაქის—2, სამხრეთ-ოსეთში—2; სულ 41 ამხ—ბა.

დასავლეთ საქართველო: შორაპნის მაზრაში—5 ამხ-ბა, რაჭის—5, ლეჩხუმის—4, ქუთაისის—8, სენაკის—5, ზუგდიდის—5, ოზურგეთის—6, აჭარისტანში—1, სულ 39 ამხ-ბა.

გათვალისწინებულია და ახლო მომავალში გაიხსნება საკრედიტო ამხანაგობები: ოზურგეთის მაზრაში, როგორც ზევით აღვნიშნეთ,—7 ამხ-ბა, თბილისის მაზრაში—2, ქუთაისის მაზრაში—2, ბორჩალოს მაზრაში—2, აჭარისტანში—4.

ამგვარად მიმდინარე წლის ბოლოსთვის საქართველოს სხ. და სხ. რაიონებში გვექნება, ყოველ შემთხვევაში, არა ნაკლებ 100 საკრედიტო ამხანაგობისა.

დაარსებულ საკრედიტო ამხანაგობებიდან რეგისტრაციაში გატარებულია 70 ამხ-ბა, მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოდან 41 ამხ-ბა და დასავლეთ საქართველოდან 29, დანარჩენ 10 საკრედიტო ამხანაგობის წესდებები ამ დღეებში გატარდება რეგისტრაციაში.

რეგისტრაციაში გატარებულ საკრედიტო ამხანაგობებიდან 69 ამხანაგობას მიეცა გრძელვადიანი სესხი ძირითადი თანხების გასაძლიერებლად სულ 249,500 მანეთი; მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოს 40 ამხანაგობას—155.500 მ. და დასავლეთ საქართველოს 29 ამხ-ბას 94.000 მან. ერთს ამხ-ბას ჯერ არა აქვს აღნიშნული კრედიტი.

ამხანაგობები, რომელთაც დაენიშნათ კრედიტები მათი რიცხვისა, კრედიტების რაოდენობისა და მაზრების და ავტ.-ოლქების მიხედვით, განაწილებულია ამ გვარად:

აღმოსავლეთ საქართველო:

1. სიღნაღის მაზრა:	10 ამხ-ბა, ძირითადი თანხით	42.000 მან.
2. თელავის „	6 „ „ „	20.000 „
3. თბილისის „	6 „ „ „	24.000 „
4. ბორჩალოს „	1 „ „ „	5.000 „
5. გორის „	6 „ „ „	21.000 „
6. დუშეთის „	5 „ „ „	17.000 „
7. ახალციხის „	2 „ „ „	10.000 „
8. ახალქალაქის „	2 „ „ „	10.000 „
9. სამხრეთ-ოსეთი „	2 „ „ „	6.000 „
	40 ამხ-ბა	155.500 მან.

დასავლეთ-საქართველო:

1. შორაპნის მაზრა:	4 ამხ-ბა, ძირითადი თანხით	12.000 მან.
2. ქუთაისის „	8 „ „ „	25.500 „
3. სენაკის „	5 „ „ „	16.000 „
4. ზუგდიდის „	5 „ „ „	14.500 „
5. ოზურგეთის „	6 „ „ „	21.000 „
6. აჭარისტანი „	1 „ „ „	5.000 „
	29 ამხ-ბა	94.000 მან.

სასოფლო-სამეურნეო ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დაარსებულ საკრედიტო ამხანაგობებში ანგარიშებისა და საქმის-წარმოების თავითავე წესიერ ნიადაგზე დაყენების საქმეს.

სამისოდ ბანკს მოწყობილი აქვს საინსპექტორო (საინსტრუქტორო) აპარატი, რომელიც შესდგება 6 ინსპექტორისაგან, მათ შორის 1 მთავარი ინსპექტორი. საინსპექციო ნაწილის გამგე მუდამ ცენტრშია და ხელმძღვანელობას უწევს დანარჩენ ინსპექტორებს; უკანასკნელებიდან 3 თითო-თითო იმყოფება სიღნაღის, ქუთაისის და ბათომის განყოფილებების განკარგულებაში, საცხოვრებელი ბინა აღნიშნულ ქალაქებში აქვთ და იქიდან უწევენ ხელმძღვანელობას განყოფილებათა რაიონებში დაარსებულ საკრედიტო ამხანაგობებს; ხოლო 2 ინსპექტორი ცენტრის განკარგულებაშია, საცხოვრებელი ბინა თბილისში აქვთ და აქედან უწევენ ხელმძღვანელობას ცენტრის რაიონის თბილისის, ბორჩალოს, დუშეთის, გორის, ახალციხის და ახალქალაქის მაზრების და სამხრეთ-ოსეთის საკრედიტო ამხანაგობებს.

ინსპექტორები თითქმის მუდმივად რაიონებში იმყოფებიან და მთელ თავის დროს ანდომებენ საკრედიტო ამხანაგობათა მოწყობისა და ზემოაღნიშნულ ანგარიშების და საქმის წარმოების მკვიდრ ნიადაგზე დაყენების საქმეს.

ეს მუშაობა აუცილებელია. სოფელს არა ჰყავს მომზადებული კოოპერატორები, საკრედიტო ამხანაგობებს არა ჰყავთ მომზადებული მოანგარიშეები.

ვინაიდან საკრედიტო ამხანაგობები ჯერ კიდევ უმთავრესად ორგანიზაციის ხანას განიცდიან და ინსპექტორები, როგორც აღვნიშნეთ, მთელ თავის დროს მათი მოწყობის საქმეს ანდომებენ, ამიტომ ჯერ-ჯერობით არ არის დაგროვილი საკმაო მასალები ამხანაგობათა მოქმედებისა და მდგომარეობის ყოველმხრივ ციფრებით დასახასიათებლად.

ახლო მომავალში, ასეთი მასალების დაგროვებისთანავე, საშუალება მოგვეცემა გავაცნოთ ისინი მკითხველ საზოგადოებას.

აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ წელს ზაფხულზე, როცა ეს საქმე პირველათ წამოვიწყეთ, ყველა სკეპტიკურად უყურებდა და არავის ეგონა, რომ რაღაც რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენ შევძლებდით ასამდე საკრედიტო ამხანაგობის დაარსება-მოწყობას.

ამ ცოტა დროში მეტად დიდი საქმე გაკეთდა, კიდევ მეტი გასაკეთებელია.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი, რომელსაც მეშვიდე ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულ ამგვარ ბანკებ შორის, არ დაიშურებს თავის თანხებს, ცდას და ენერგიას, რათა მთელი საქართველოს რესპუბლიკა მოეფინოს საკრედიტო ამხანაგობებით, მხოლოდ ამისათვის საჭიროა დახმარება და თანაგრძნობა ყველა ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციების, კოოპერაციის და მიწად-მოქმედების კომისარიატის მხრით, როგორც ჩვენი ბანკის აქციების შეძენაში, ისე ძველი დავალიანების გაღებაში. სოფლად მომუშავე ამხანაგების, და ახალგაზრდა საკრედიტო კოოპერაციის ხელმძღვანელებმა უნდა მოგვაწოდონ ყოველგვარი ცნობები საკრედიტო ამხანაგობათა მუშაობის, მათი ნაკლის და ღირსების შესახებ და დაგვეხმარონ ჩვენი საქმის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებაში.

ბ. ბიბილეიშვილი.

პარტიული ცხოვრება

ამხ. ტროცკის ახალი გამოსვლის გამო

მოსკოვი. 16 დეკ. გაეცნო რა რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ცეკას მიერ „პრავდა"-ში გამოქვეყნებულ წერილს და მოისმინა რა მოხსენება ტროცკის უკანასკნელ გამოსვლის შესახებ, ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომმა ერთხმად დაადგინა სავსებით მოიწონოს რუსეთის ახალგ. ლენინელთა კომკავშირის პოზიცია და განსაკუთრებით მიესალმოს იმ გამბედაობას, რომლითაც რუსეთის ამხანაგებმა უპასუხეს ოქტომბრის რევოლიუციის წინამორბედ ხანის ისტორიის დამახინჯებას და ახალგაზრდობის კავშირს უჩვენეს სწორი გზა ოქტომბრის შესასწავლათ. ახალგ. კომინტერნის აღმასკომი აღნიშნავს, რომ თითქმის ყველა საკითხებში ტროცკი სცდილობდა ლენინიზმის დროშით დაეფარა თავისი შემცდარი პოზიცია და ამგვარად ასაღებდა ტროცკიზმს ლენინიზმად. ეს ცდა მარცხით დამთავრდება.

ახალგაზრდობას კომინტერნის აღმასკომი დარწმუნებულია, რომ რუსეთის კომპარტია ღირსეულ პასუხს გასცემს ტროცკის და მიიღებს ყოველგვარ ზომას იმისათვის, რათა ასეთი უდისციპლინო და პარტიისათვის სახიფათო გამოსვლები აღარ განმეორდეს.

პარტიული მუშაობისათვის სახელმწიფო უნივერსიტეტში

პარტიული მუშაობა ქართულ უმაღლეს სასწავლებელში საგრძნობლად მოისუსტებს.

სხვათაშორის ეს გარკვევით აღნიშნა კომკავშირის ცეკას უკანასკნელ გაფართოვებულ პლენუმმაც, რომელმაც დაკვრითი ამოცანად გამოაცხადა ქართულ უნივერსიტეტში მუშაობის გაძლიერების აუცილებლობა.

როგორც ვიცით, ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ დროს წარმოადგენდა კონტრ-რევოლიუციის ბუდეს. სტუდენტობა გაჟღენთილი იყო შოვინისტური იდეოლოგიით. ამდენადვე უნივერსიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობა ორგანიზაციულად და პოლიტიკურად დარაზმული იყო ანტისაბჭოთა პარტიების ირგვლივ „სამშობლოს თვითდაცვის" ლოზუნგის ქვეშ და აქტიურ ბრძოლას აწარმოებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგრამ დრომ თავისი გაიტანა და კონტრ-რევოლიუციონური პარტიების ლიკვიდაციის შემდეგ ქართულ სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობაც იძულებული გახდა გამოფხიზლების გზას დასდგომოდა, პირი ებრუნა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისაკენ და დამდგარიყო საბჭოთა პლატფორმაზე. სტუდენტობაში მოხდა მეტად დიდი პოლიტიკური გარდატეხა. მოსწავლე სტუდენტობის საგრძნობი ნაწილი კიდეც დაირაზმა კომკავშირის ორგანიზაციების გარშემო.

მაგრამ აქედან არაა შემთხვევაში არ შეგვიძლია გამოვიტანოთ ისეთი დასკვნა, რომ დღეს მუშაობა ამ მიმართულებით დამთავრებული და დაბოლოებული იყვეს, რომ სტუდენტობის აბსოლიუტური უმრავლესობა დაპყრობილი გვყავდეს და რომ [illegible] ახალგაზრდათა მასსები ჩაბმული გვყავს პარტიის და კომკავშირის პრაქტიკულ მუშაობაში და სხვა. არა. კომკავშირის წინაშე ქართულ სახელმწიფო უნივერსიტეტის იდეოლოგიურად და პოლიტიკურად დაპყრობის საქმეში ამჟამად მეტად დიდი ამოცანები სდგას.

ამ ამოცანების განხორციელებისათვის აქ საჭიროა ხანგრძლივი და სისტემატიური მუშაობა.

უპირველესად ყოვლისა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უნივერსიტეტში თვით ჩვენი პარტიული უჯრედის მუშაობას. თუ ჩვენ ამ მხრივ მოვისუსტებთ, მოვკოჭლებთ, აშკარაა, ასეთ პირობებში შორს ვერ წავალთ. უნივერსიტეტში ჩვენი პარტიული უჯრედის მუშაობის გაძლიერება უნდა გარდაიქცეს ერთ ძირითად ამოცანად. როდესაც უნივერსიტეტში პარტიულ უჯრედს დავაყენებთ ნორმალურ დონეზე, მაშინ ჩვენ ამით საშუალება მოგვეცემა უფრო ღრმად შევიჭრათ ფართე მოსწავლე ახალგაზრდობაში.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მთავარი ნაკლულევანება ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრებაში. საქმე იმაშია, რომ დღემდე კლუბის საქმე არ არის მოგვარებული მხოლოდ, თუ როგორ დიდმნიშვნელოვანია საერთოდ ჩვენი კლუბები მასსების კომუნისტურად აღმზრდელობითი საქმეში,— ეს კი ყველასათვის ცხადია. ჩვენი სტუდენტობა რომ ჩავაბათ საბჭოთა საზოგადოებრივ მუშაობაში, დავრაზმოთ ის პარტიის გარშემო და იმათგან გამოვჭედოთ ნამდვილი რევოლიუციონური თაობა,— აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საკლუბო საქმის მოგვარება.

ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ მარქსისტულ და ლენინურ წრეებსაც ვერ ექცევა სათანადო ყურადღება. ეს უთუოდ დიდი დანაკლისია. ეს მით უმეტეს, რომ ჩვენი სტუდენტობა დღემდე იდეალისტური ფილოსოფიის ყაიდაზე იზრდებოდა. ყოველ მიზეზს გარეშე საჭიროა შეიქმნას მტკიცე და ურყევი წრეები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჩვენი მომავალი თაობის მატერიალისტურ პრინციპებზე აღზრდის საქმეს.

უნივერსიტეტის პარტიულმა უჯრედმა თვალყური უნდა ადევნოს აგრეთვე იმ იდეოლოგიურ პროცესებს, რომლებიც ხდება სტუდენტობის მასაში. თუ კი ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში უმაღლესი სასწავლებლები წარმოადგენდენ ბაზას გაბატონებულ კლასის იდეოლოგიისას, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები, პირიქით, უნდა აწარმოებდნენ სისტემატიურ ომს პროლეტარულ მსოფლმხედველობისათვის. მხოლოდ ამისათვის საჭიროა თვით უნივერსიტეტის უჯრედი თავისი დანიშნულების სიმაღლეზე იდგეს, მეორეს მხრივ კი მობილიზაცია უყოთ ზოგიერთ ჩვენ პარტიულ ამხანაგებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ უნივერსიტეტის იდეოლოგიურად დაპყრობის საქმეს.

შ. ა.

თბილისის საბჭოს სექციაში

კომუნალურ სექციაში

15 დეკემბერს საღამოს შესდგა კომუნალური სექციის სხდომა, რომელზედაც ამხ. ვაწაძემ გააკეთა მოხსენება.

აგრონომიული დახმარების შესახებ თბილისის მაზრაში.

მომხსენებელი ადარებს თვითეული დესიატინის მოსავალს ჩვენში და საზღვარ-გარეთ, სადაც თვითეულ დესეტინაზე მოდის 300 ფუთი ხორბალი იმ დროს, როცა ჩვენში 50 ფუთი კარგ მოსავლად ითვლება. ასეთი ჩამორჩენის მიზეზი არის მეველობის დაბალი კულტურა და აგრონომიული დახმარების სუსტად დაყენება.

თბილისის მაზრაში არის რამოდენიმე აგრონომიული პუნქტი თითო აგრონომით და სახალხო სამეურნეო იარაღების გასაქირავებელი პუნქტები, რომელნიც ღარიბ გლეხობას დახმარებას უწევენ და აგრეთვე ახდენენ იმ იარაღების დემონსტრაციას, რომლის. გამოყენებაც სურთ შეასწავლონ ადგილობრივ გლეხობას.

ალაგ-ალაგ მოწყობილია ხორბლეულის საწმენდი პუნქტები, სადაც ტრიერების საშუალებით გლეხებს შეუძლიათ გასწმინდონ სათესლე ხორბალი, რომელიც წმენდის შემდეგ იძლევა უკეთესი ღირსების მოსავალს.

აგროპუნქტებთან აგრონომების უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ გაშენებულია საცდელ-საჩვენებელ მინდვრები, სადაც აწარმოებენ ცდებს იმის გამოსარკვევად, შეეფერება თუ არა ესა თუ ის კულტურა ადგილობრივ პირობებს. აქვე აჩვენებენ გლეხობას თესვის სხვა და სხვა წესს, მაგ. რიგობრივ თესვას.

ცდით გამოირკვა, რომ ბამბა ყარაიაზის გასწვრივ მდებარე ველებს ზევით უკვე აღარ ხარობს.

ფილოქსერამ თბილისის მაზრაში გაანადგურა ვენახები (იყო 2.400 დესეტინა, არის—1300) ადგილობრივი მოსახლეობა მოითხოვს ვენახებ ს ამერიკულ ვაზზე დამყნობას. მაგ. სოფელი პატარძეული საჭიროებს 30 ათას ამერიკულ ლერწს.

ვინაიდან მეტად დიდია აგრონომიული რაიონების სივრცე, აგრონომები ვერ ასწრებენ დახმარება გაუწიონ მთელს მოსახლეობას. საჭიროა აგრონომთა რიცხვის გადიდება 4 კაცით მაინც.

მესაქონლეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა საჯიშე კუროების შეძენა ურომლისოდაც ძროხების უმრავლესობა ეულად რჩება.

აგრონომიული დახმარების სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად საჭიროა თანხების დროზე გაცემა, რადგან აგრონომიული დახმარება სეზონური ხასიათის არის და ალოს გამოშვება მთელი მუშაობის ჩაშლას იწვევს. გასულ წელს ბიუჯეტით განსაზღვრულ 46 ათასი მანეთის ნაცვლად მიღებული იქნა მხოლოდ 15 ათასი მანეთი და ისიც დაგვიანებით.

კამათი

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში ოპონენტები გლეხობასთან კავშირის დასამყარებლად მოითხოვდენ პარტ. ყრილობის დადგენილების თანახმად სოფლად აგრონომიული დახმარების გაძლიერებას.

რეზოლიუცია

კომუნალურ განყოფილების სექციის მიერ მიღებული რეზოლიუცია აგრონომიული ქვეგანყოფილების მუშაობას სცნობს დამაკმაყოფილებლად და თან საჭიროდ აღიარებს გასულ წელთან შედარებით მუშაობის უფრო მეტად გაფართოვებას, რისთვისაც წინადადება ეძლევა სადგილ-მამულო განყოფილებას სათანადო საკითხი წამოაყენოს საბჭოს პლენუმზე.

მომავალი მუშაობის გეგმის გამოსამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია 5 კაცისაგან.

ჩვენი საშეფო სოფელი

„თემქის" კომ-უჯრეოს და ახკომკავშირის უჯრედს უკვე ერთი წელია საშეფოდ აღებული აქვს სოფელი ქვემო-ჭალა გორის მაზრაში. კულტურულად ეს სოფელი არ არის ჩამორჩენილი სხვა სოფლებთან შედარებით. აქ დაარსებულია რამოდენიმე სკოლა კლუბი და ქოხ-სამკითხველო. ადგილობრივად არის კომუჯრედი და ახკომკავშირის უჯრედი. ამ სოფლის გლეხობას ძალზედ ემჩნევათ ლტოლვა პარტიისა და კომ-კავშირის რიგებისაკენ. ქვემო-ჭალის პარტკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. გოგოლაძე დიდის ენერგიით მუშაობს. მას კარგი ავტორიტეტი აქვს მოპოვებული გლეხობაში.

რა დახმარება გაუწია ამ სოფელ „თემქის" ქარხანამ? პირველად გაგზავნილი იქნა სხვადასხვა ლიტერატურა ქართულ ენაზედ, კლუბის საჭიროებისათვის ფარდა, ლამპები, „[illegible]", რამოდენიმე ცალი ზარი, ახკომკავშირისათვის [illegible] და პლაკატები. ამჟამად ისინი ყოველდღიურად ღებულობენ 2 ცალ გაზეთს, ზაფხულის პერიოდში „თემქის" დრამ-წრე ყოველ ორ კვირაში ერთხელ მიემგზავრებოდა ქვემო ჭალაში და დგავდა წარმოდგენებს უფასოდ გლეხებისათვის, მეტ წილად რევოლიუციონურ და ანტირელიგიოზური ხასიათის პიესებს, რითაც ძალიან კმაყოფილი რჩებოდნენ ქვემო ჭალის გლეხობა.

ყოველივე კამპანიების ჩასატარებლად თემქიდან იგზავნება შეფ-კომისიის წევრები. უკანასკნელად იქნა ჩატარებული ჩვენი წარმომადგენლების მიერ 7 წლის ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაული. როდესაც ჩვენი წარმომადგენლები ჩადიან ამ სოფელში გლეხობა დიდის აღფრთოვანებით ხვდება მათ.

ვ. მეუნარგია.

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმში

კომკავშირის შობის შესახებ.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა კომკავშირის მიერ შემუშავებული გეგმა კომკავშირის შობის ჩატარების შესახებ.

პარტიაში ყოფ. ჰნჩაკისტ-მუშების მიღების შესახებ.

თბილისის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ პარტიაში მიღებული იქნეს 60 ყოფილი ჰნჩაკისტი, რომლებიც წარმოებებში მუშაობენ.

თბილისის ორგანიზაციის ტიპიური უჯრედების გამოყოფის შესახებ.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა იმ მიზნით, რომ შესწავლილი იქნეს სოფლის, საწარმოო, დაწესებულებების და სატრანსპორტო უჯრედების მუშაობის გამოცდილება, გამოჰყო თბილისის ორგანიზაციიდან 13 ტიპიური უჯრედი, რომელთაგან სამი სოფლის უჯრედია: გარე კახეთში—საგარეჯო, მანგლისში—თიანეთი, ასურეთში—კოდა. სატრანსპორტო უჯრედია ორი—დეპო და მთავარი სახელოსნოები; საფაბრიკო-საქარხნო ოთხი—ავტოსახელოსნოები № 3, თამბაქოს ქარხანა „როზა ლიუქსემბურგ", ტყავის ქარხანა № 1, სამხედრო-საველო სტამბა, დაწესებულებების 4—ცეკავშირი, იუსტიციის სახალხო კომისარიატი, ქალაქის მილიცია და სახელმწიფო უნივერსიტეტი.

გლეხების ჩაბმა პარტიაში.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა გადაწყვეტილება მიიღო პარტიაში 200 გლეხის მიღების შესახებ თბილისის მაზრიდან. სათანადო ცხრილი დაეგზავნა სამაზრო რაიკომებს.

ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის ცხოვრებიდან

ბავშვთა კომჯგუფების ორგანიზაციის შესახებ

ლენინური კომკავშირის წინაშე წამოჭრილ ამოცანათა შორის განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ახალგაზრდა პიონერთა მოძრაობის საკითხი.

ახ. ლენინური კომუნისტური კავშირის რიცხვობრივი და თვისობრივი ზრდა როგორც სოფლად, ისე ქალაქად უშუალო გავლენას ახდენს ბავშვთა კომ-ჯგუფების განვითარება-გაძლიერებაზე. ის გაცხოველებული მუშაობა, რომელიც სწარმოებს ბავშვთა კომჯგუფების ცენტრალური საბჭოს ხელმძღვანელობით საქართველოს სხვადასხვა მაზრებში მტკიცე საწინდარია ლენინის სახელობის ახალგაზრ. კომკავშირის სიძლიერის და სიმტკიცისა. მაგრამ ამით თქმა იმისი, თითქოს ამ მხრივ ყველაფერი თავის რიგზე იყოს, გადამეტებული იქნებოდა.

დღეს მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ისმება საკითხი პიონერთა შორის ნაყოფიერი მუშაობის წარმოების შესახებ. რას უნდა მიექცეს ყურადღება ამ მხრივ? ა. ლ. კ. კ. უჯრედებმა თავისი მუშაობის პროცესში ერთ-ერთ დამკვრელ ამოცანად უნდა დაისახონ კომკავშირის უჯრედებთან ახალგაზრდა პიონერების ჯგუფების დაარსება და ამ ჯგუფების მუშაობაში ბავშვების ჩაბმა, რომ კომკავშირის იდეური ზეგავლენით მათგან მივიღოთ მომზადებული კადრი მებრძოლი ახალგაზრდობისა. მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი უჯრედები დღემდე ამ საკითხს ვერ აქცევდენ ჯეროვან ყურადღებას.

ამასთანავე ჩვენში, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, უჯრედების კრებებზე იშვიათად თუ შეხვდებით დღის წესრიგში საკითხს ბავშვთა კომჯგუფების მოძრაობაზე, ახალგაზრდა პიონერთა დანიშნულებაზე, ფიზკულტურის ჯგუფებში პიონერების მიერ მონაწილეობის მიღების შესახებ და სხვა. აგრეთვე სოფლად ბავშვთა კომჯგუფების მოწყობის საქმეში საგრძნობლად ხელს გვიშლის ინსტრუქტორთა კადრის უქონლობა. აი მანამ, სანამ მაზრაში დაარსდებოდეს სპეციალური კურსები ინსტრუქტორების მოსამზადებლათ, საჭირო არის სოფლის უჯრედებმა აქ გამოიყენონ ადგილობრივი კულტურული ძალა—მასწავლებლობა.

კირ. პატარაია.

ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ

თბილისის მუსულმანთა საპროტესტო მიტინგი

გუშინწინ თბილისის ერთ-ერთ მეჩეთში შესდგა თბილისის მუსულმანთა დიდი საპროტესტო მიტინგი ინგლისის იმპერიალიზმის მტაცებლური პოლიტიკის წინააღმდეგ—აღმოსავლეთში, კერძოთ ეგვიპტესა და სპარსეთში.

მიტინგზე გამოვიდენ მთელი რიგი ორატორები, მათ შორის ინდოეთის, სპარსეთის და ოსმალეთის წარმომადგენელნი, რომელნიც აღნიშნავდენ ეგვიპტესა და სპარსეთში დატრიალებულ უკანასკნელ ამბების მნიშვნელობას და მოუწოდებდენ აღმოსავლეთის მშრომელთ ინგლისის იმპერიალისტებთან ბრძოლისაკენ.

მიტინგზე გამოვიდენ აგრეთვე მუსულმანური სამღვდელოების წარმომადგენელნი.

მიღებულ რეზოლიუციაში მუსულმანთა საერთო კრება ზიზღს უცხადებს ინგლისის პოლიტიკას და სამარცხვინო ბოძზე აკრავს ჩემბერლენს და მათ ძმებს, რომელნიც სჭედავენ კოლონიალური მონობის ბორკილებს აღმოსავლეთის მრავალმილიონიან ხალხებისათვის, ამავე დროს საერთო კრება გამოსთქვამს თავის თანაგრძნობას საბჭოთა კავშირისადმი, რომელიც სდგას აღმოსავლეთის ხალხების ინტერესთა სადარაჯოზე.

კოოპერაცია

ცეკავშირის სავაჭრო განყოფ. მუშაობა

(1924 წ. ოქტომბერ—ნოემბრის თვის განმავლობაში)

ცეკავშირის სავაჭრო საქმიანობის დახასიათებისათვის საანგარიშო თვეებში საჭიროა აღინიშნოს ის დაბრკოლებები, რომელნიც შეხვდა ამ დარგს სოფლის თუ ქალაქის მომხმარებელთათვის მისაწოდებელ საქონლის შეძენაში და სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებების დამზადებაში.

აქ პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ფინანსიური მხარე—პერიფერიულ კოოპერატიულ ორგანიზაციების დიდი დავალიანება ცეკავშირის წინაშე. 1924 წლის ოქტომბრის 1 სათვის საქართველოს კოოპერატივებს მართებდათ ცეკავშირის 1.700.000 მანეთამდე. ცეკავშირის სავაჭრო განყოფილებამ ეცადა უშუალო კავშირი დაეჭირა საქონლის შეძენის საქმეში საქონლის მწარმოებელ ორგანოებთან და არა მათ აქაურ წარმომადგენლებთან — ტრესტების და სინდიკატების წარმომადგენლებთან. ოქტომბერ-ნოემბრის განმავლობაში ცეკავშირმა შესძლო მოსკოვიდან უშუალოდ დიდძალი საქონლის მიღება, განსაკუთრებით ფართლეულობის.

კოოპერატიულ ორგანიზაციებისაგან კავშირმა შეიძინა ოქტომბრის განმავლობაში 77.157 მან. 95 კაპ. საქონელი, ნოემბერში კი—149.837 მან. 35 კ. საქონელი; სახელმწიფო ორგანოებისაგან და საზოგადოებრივ დაწესებულებებისაგან—ოქტომბერში—228.309 მან. 01 კაპ., ხოლო ნოემბერში—316.961 მან. 41 კაპ., კერძო ფირმებისაგან და პირებისაგან—ოქტომბერში 1.037 მ. 50 კ. საქონელი, ხოლო ნოემბერში 4.711 მან. 24 კაპ. სულ ოქტომბერ-ნოემბრის განმავლობაში შეძენილია 778.009 მან. 46 კაპ. საქონელი.

ნოემბერში—სულ ორი თვის განმავლობაში გაცემულია 740.498 მან. 74 კაპ. ღირებული საქონელი. 81 პრ. ოქტომბერ-ნოემბერში გაცემულ საქონელისა წილად ხვდათ ცეკავშირის წევრებს — კოოპერატივებს, 16,5 პროც. სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს,—0,9 პროც. კოოპერატიულ ორგანიზაციების—ცეკავშირის არაწევრების და 1,6 პროც. კერძო პირებს, თანამშრომლებს და სხვას.

მუშკოოპზე გაცემულია 137.559 მ. 99 კ. ღირებული საქონელი.

შ.

მუშა და გლეხ-კორესპონდენტების საკავშირო ყრილობაზე



ყველაზე უფრო მოხუცი და ყველაზე უფრო ახალგაზრდა კორესპონდენტი.
ახალგაზრდა კორესპონდენტი მ-შა ზაბლუდოვსკი და „კომუნისტი"-ს მუშა-კორესპონდენტი შაკრო ნავთლუღელი.

სალამი მოსკოვს!

სალამს მოგიძღვნი, მოსკოვო!
თავისუფლების აკვანო,
თანასწორობის აღმზრდელო,
სგრულთა შვილად აღყვანო!

* *

ბრძოლის ქარცეცხლში ნაწრთობო,
მრავალი ტანჯვის მნახველო,
მტარვალთა თავზარ-დამცემო,
სიძნელის გადამლახველო!

* *

შენ სიდიადეს ამშვენებს
სამარე დიდი გმირისა,
თავისუფლების ემბლემის
მარად უკვდავად ქმნილისა.

* *

შენს მხარეს იყურებიან
ჩაგრული ხალხის თვალები,
აღთქმის ქვეყანად ქმნილი ხარ,
შენ გეტრფი გენაცვალები.

* *

შენი ხმის გასაგონადა
ყური მსმენელად ქმნილია.
შენი თაყვანის-მცემელი
მსოფლიოს შრომის შვილია.

* *

მახვილით მომარჯვებული
შენგან მოელის ნიშანსა,
რომ დასცეს რისხვა მჩაგვრელებს
და მიაღწიოს მიზანსა.

* *

ძმური კავშირის შექმნაში
წინ ვერვინ ელობებოდეს,
თვით აკეთებდეს თვის საქმეს,
შენ შვილებს ებაძებოდეს.

* *

მიიღე ჩემი სალამი
მოძღვნილი სულით გულითა,
მუშა მგოსანი გწვევარ,
ვზეიმობ სიყვარულითა.

მოსკოვი, 3 დეკემბერი.

მუშკორი შაკრო ნავთლუღელი.

სარენტო გადასახადის აკრეფა საქ. ქალაქებში

ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის საგადასახადო განყოფილება შეუდგა წინასწარ მუშაობას სარენტო გადასახადის ასაკრეფად.

საქართველოს ყველა ქალაქებში სულ შეკრებილი უნდა იყოს დაახლოვებით 127.100 მანეთი.

ქალაქების მიხედვით ეს გადასახადი ასე ნაწილდება: თბილისზე გაწერილია 75 ათასი მანეთი, ბათომზე—20 ათასი მან., ქუთაისზე—8 ათასი მან., ფოთზე—5 ათასი მან., თელავზე—2 ათასი მანეთი, ახალციხეზე—ათასი მანეთი, ახალქალაქზე—500 მანეთი, გორზე—500 მანეთი, ხაშურზე—ათასი მანეთი, ბორჯომზე—500 მანეთი, სიღნაღზე—2 ათასი მანეთი, ოზურგეთზე—ათასი მანეთი, სენაკზე—ათასი მანეთი, ჭიათურაზე—2 ათასი მანეთი, სოხუმზე—5 ათასი მანეთი ხულოზე—500 მ. დუშეთზე—500 მანეთი, ზუგდიდზე—400 მანეთი, ცხინვალზე, სამტრედიაზე, ზესტაფონზე — სამას-სამასი მანეთი, ქ. შაუმიანზე (ყოფილი შულავერი) და ონზე—ორას-ორასი მანეთი—სულ 127,100 მანეთი.

ეს არის მინიმუმი იმისი რაც უნდა შემოვიდეს მიმდინარე წელს—ძირითადი რენტის ანგარიშით.

პატარა ქალაქებისათვის აღებულია მეტად მცირე ვარაუდი, ვინაიდან მათში მცხოვრებლების დიდი ნაწილი იხდის სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, რის გამოც მცხოვრებთა ეს ნაწილი თავისუფლდება სარენტო გადასახადისაგან.

დამატებით რენტის ანგარიშში, რაც ადგილობრივი აღმასკომების სასარგებლოდ მიდის, ნავარაუდევია ორჯერ მეტი შემოსავალი ძირითად რენტის შემოსავალთან შედარებით.

გადასახადის აკრეფის პირველ ვადად დანიშნულია 1925 წლის პირველი იანვარი.

გადასახადი შეკრებილი იქნება სავსებით თხუთმეტ იანვრამდე. საფინანსო ორგანოები გადასახადის გაწერის დროს ხელმძღვანელობენ იმ მასალებით, რომელიც იმყოფება კომუნალური განყოფილების განკარგულებაში. თუ ასეთი მასალები რომელიმე ქალაქს აღმასკომს არ მოეპოვება, ხდება მიწადმფლობელობის ფაქტიური გაზომვა.

ამჟამად სწარმოებს სარენტო გადასახადით დასაბეგრი ქონების აღწერა, რომელსაც ახდენენ ფინანსიური ორგანოები კომუნალურ განყოფილებებთან ერთად.

მშენებელთა ყრილობა

სარევიზიო კომისიის მოხსენება

(მომხსენებელი ამხ. ნაზაროვი).

სარევიზიო კომისიამ ცენტ. გამგეობის მუშაობაში აღმოაჩინა რამოდენიმე ნაკლი. მაგ. ცენტრ. გამგეობის ბუხჰალტერად, მოანგარიშედ და მოლარედ ჰყავს ერთი პირი, რაც უცილებლად არანორმალურია. გარდა ამისა დიდია საადმინისტრაციო და სამეურნეო ხარჯები, რომლის შემცირება საქმის დაუბრკოლებლად შეიძლება. კულტფონდის თანხის გამოყენება ხდება უგეგმოთ, რაც უარყოფითად მოქმედობს კულტმუშაობაზე. ამავე დროს უმნიშვნელოა უმუშევართა დახმარება. უმუშევართა ფონდში შემოსულია სულ 4.106 მანეთი, ხოლო დახარჯულია—941 მან.

მოხსენებათა გარშემო გაიმართა კამათი, რის შემდეგაც მიღებული იქნა რეზოლიუცია, სადაც ყრილობას შეაქვს რამოდენიმე შესწორება ცენტ. გამგეობის მუშაობაში.

მეორე დღე, დილის სხდომა

კამათი მოხსენებათა გარშემო

მეოთხე სხდომაზე გაიმართა კამათი კავშირის ცეკას, საქართველოს მშენებელთა კავშირის ცენტრალური გამგეობის მუშაობის და სარევიზიო კომისიის მოხსენების გარშემო. ოპონენტები აღნიშნავდენ, რომ ცენტრალური გამგეობა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა პროვინციას, რომელიც მოკლებული იყო ცენტრის ხელმძღვანელობას. არ ყოფილა მაზრებში ხშირი ჩამოვლა და წერილობითი ურთიერთობა. ოპონენტთა აზრით, თავის სიმაღლეზე ვერ იდგა აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა და უმუშევართა დახმარების საქმე. აღნიშნავდენ რა ზემოხსენებულ ნაკლულოვანებას, ოპონენტები მოითხოვდენ მომავალ ცენტრალური გამგეობისაგან მუშაობის გაცხოველებას ამ მიმართულებით.

კამათის დასასრულ ყრილობას გამოაქვს რეზოლიუცია, სადაც ცენტრალური გამგეობის მუშაობა საერთოდ დამაკმაყოფილებლად არის ცნობილი.

მესამე დღე, დილის სხდომა

სამეურნეო ორგანოების მოხსენებანი

მესამე დღის დილის სხდომაზე. ყრილობა ისმენს სამეურნეო ორგანოების მოხსენებათ.

პირველად მოხსენებას აკეთებს ს. მ. უ. ს-თან არსებულ საამშენებლო ქარხნების ამ [illegible] წარმომადგენელი, რომელიც ყრილობას აცნობს საამშენებლო ქარხნების დღევანდელ მდგომარეობას. სამმართველო განაგებდა საამშენებლო მასალების 8 დასამზადებელ ქარხანას (5 აგურ-კრამიტის ქარხანას, 1 კირის ქარხანას, 1 ცარცის ქარხანას და 1 ფაიფურის ჭურჭლის ქარხანას).

23 წლის ოქტომბერში ქარხნებში მუშაობდა 169 მუშა, 24 წლის ოქტომბერში—347 მუშა. მუშები ხელფასს ღებულობენ 1:8 შეფარდებით 13 მან 50 მინიმუმით. 1924 წლის ოქტომბერში სამმართველოს ძირითადი კაპიტალი უდრიდა—103,875 მანეთს.

სამმართველომ ერთი წლის განმავლობაში თავის ქარხნებიდან გამოუშვა 231 160 მანეთის საამშენებლო დამზადებული მასალა, ხოლო ამავე ქარხნების მიერ გასულ წელს დამზადებული იყო 85 ათასი მანეთის საქონელი. დამზადებული საქონელი სავსებით განაღდებულ იქნა, წლის განმავლობაში გაყიდულია 206,346 მანეთის საქონელი. დარჩენილი მასალა მთელ ქარხნებში უმნიშვნელო პროცენტს წარმოადგენს, შემდეგ მომხსენებელი ეხება თვითეული ქარხნის მუშაობას, იქ დაბანდებულ მუშების სამუშაო პირობებს შრომის ნაყოფიერებას, ხელფასის საკითხს და სხვა.

ამავე სხდომაზე მოხსენებას აკეთებენ აგრეთვე შემდეგი სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლები: იუგოსტროის და „გოსტროის" ქუთაისის განყოფილება.

საამშენებლო მასალის ქარხნების სამმართველოს მუშაობა ყრილობამ დამაკმაყოფილებლად სცნო.

მედსანშრომის მუშაკთა ყრილობა

ყრილობის გახსნა

მედსანშრომის მუშაკთა ყრილობა გაიხსნა პროფკავშირთა დიდ დარბაზში 16 დეკემბერს ყრილობას ხსნის ამხ. ნარჩემაშვილი, რომელიც მოკლე სიტყვით ესალმება ყრილობას და უსურვებს ნაყოფიერს მუშაობას.

ყრილობის პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: სვ. ჯულელი, კუპაიძე, ნარჩემაშვილი, სოსიანი, სიკინჭალაშვილი, კანკავა, კიკალეიშვილი, ალტმანი ცომაია, ჯორბენაძე, ნოვიკოვი, ხუტულაშვილი, ხანუმიანი, ბელიაევი და ცომაია.

სამდივნოში ამხ. ამხ. ჩიხლაძე, ნაზარეტიანი და ელკინი.

საპატიო პრეზიდიუმში ყრილობა ირჩევს შემდეგ ამხანაგებს: რიკოვს, სტალინს, ტომსკის, ორჯონიკიძეს, ორახელაშვილს, მახარაძეს, კარალევს, კლარა ცეტკინას და სემაშკოს.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ყრილობა შეუდგა საქმიანობას.

მედსანშრომის კავშირის ცენტრ. კომიტეტის მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ალტმანი)

სრულიად საკავშირო მედსანშრომის კავშირის ცეკას წარმომადგენელი ამხ. ალტმანი ეხება რა საერთო მედიცინის დარგის მუშათა მდგომარეობას, აღნიშნავს მათ ნივთიერი პირობების გაუმჯობესებას. უკანასკნელი ხნის განმავლობაში იზრდება წევრთა რიცხვი. კავშირი ცხოველ მონაწილეობას იღებდა ჯანმრთელობის სახ. კომის ორგანოების ბიუჯეტის დამუშავებაში, რომლის დროსაც კავშირის წარმომადგენელი ცდილობდა დაეცვა და უზრუნველეყო წევრებისათვის უმაღლესი სატარიფო განაკვეთი. ამჟამად მედსანშრომის მუშაკის საშუალო ხელფასი უდრის—26 მანეთი, ხოლო სამეურნეო ხარჯზე მყოფ ორგანოების მედსანშრომის მუშაკის 37 მანეთი. შემდეგ მომხსენებელს მიზანშეწონილად მიაჩნია საურთიერთო დამხმარე კასსების დეცენტრალიზაცია. აღნიშნავს რა წევრების კავშირიდან გახშირებულ გამორიცხვას, მომხსენებელი საჭიროდ სთვლის რომ წევრთა გამორიცხვა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

მიწა-ტყის მუშაკთა ყრილობა

მეორე დღის სხდომა

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ცეკას მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ყაზაროვი)

მომხსენებელი მიმოხილვას უკეთებს მიწა ტყის მუშაკთა საერთო რაოდენობას ამ ჟამად და ადარებს მას მშვიდობიანი დროის რიცხვს. ომამდე რიცხვი მიწა-ტყის მუშაკთა და განსაკუთრებით სოფლის მოჯამაგირეთა დიდი იყო „პომეშჩიკური" და კულაკური მიწათმფლობელობის გამო. მიწის რეფორმის შემდეგ, როცა უმიწა-უწყლო გლეხობამ მიწა მიიღო, სოფლის მოჯამაგირეთა რიცხვმაც იკლო. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ გამოიწვია გლეხობის ეკონომიურ მდგომარეობის მიხედვით დაყოფა და ხელი შეუწყო სოფლის მოჯამაგირეთა ზრდას. ამასთანავე იზრდება აგრეთვე მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის გაერთიანებულ წევრთა რიცხვი. კავშირს ამ ჟამად 350 ათასი წევრი ჰყავს. კავშირის მუშაობის მომავალი ამოცანაა კავშირში ჩარიცხული იქნეს 1 მილიონი მოჯამაგირე და 500 ათასი მსხვილი მეურნეობაში დაქირავებული მუშა. წევრთა შორის ქალები მნიშვნელოვან პროცენტს წარმოადგენენ. ახალგაზრდობის რიცხვი ამ ჟამად მთელი რაოდენობის 5 პროც. უდრის. პარტიულნი შეადგენენ 6 პროც.

წევრთა 67 პროც. არ აქვს საკუთარი მეურნეობა, მათ შორის 55 პროც. მოჯამაგირეა. კავშირის მუშაობის მთავარი ხაზი მიმართულია სოფლისაკენ. ვქნით სარაიონო სამდივნოება, რომლის გარშემო ხდება მოჯამაგირეთა დარაზმვა. ყოველთვიურად მოჯამაგირეთა შორის მუშაობას ხმარდება 112 ათასი მანეთი.

ამხ. ყაზაროვის მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

მეორე სხდომაზე ამხ. ყაზაროვი კითხულობს საინფორმაციო ხასიათის მოხსენებას მიწა-ტყის მუშაკთა საერთაშორისო მოძრაობაზე.

მეორე სხდომაზედვე საქართველოს მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის მუშაობის მიმოხილვას აკეთებს კავშირის მდივანი ამხ. ალ. ფანცხავა.

ქრონიკა

— **სახალხო მამულების განთავისუფლება სახ. სამ. გადასახადისაგან.** საქ. სახ. კომ. საბჭომ დააკმაყოფილა მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატის შუამდგომლობა, სახალხო მამულების მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

— **სრ. საქ. გლეხკომების ყრილობა.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა ა.-კ. სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა გაიღოს სათანადო თანხა სრ. საქ. გლეხკომების 1-ლი ყრილობის ხარჯების დასაფარავათ.

— **სახ. კომისართა საბჭომ** დაადგინა მოახდინოს ტროცკის ქ. № 8 მდებარე სახლის, რომელშიაც წინათ მოთავსებული იყო მე-2 კონსერვატორია, ნაციონალიზაცია და გადაეცეს განათ. სახ. კომისარიატს იმ მიზნით, რომ აღნიშნულ სახლიდან შემოსული თანხა მოხმარდეს რესპუბლიკაში მუსიკალურ განათლების საქმეს.

— **უმაღ. ეკ. საბჭომ** დაარსა მოსაჭრელ ტყის ფონდის განმანაწილებელი საუწყებათაშორისო კომისია.

— **მეფუტკრეობისათვის.** მიწადმოქ. კომისარიატის მეფუტკრეობის ბიურომ ვაშინგტონიდან (ამერიკა) მიიღო მასალები მეფუტკრეობის შესახებ, რომელიც გამოიცემა ქართულად.

— **მეცნიერული წიგნები.** სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა საქართველოში გამოცემული მეცნიერული წიგნები გადაითარგმნოს რუსულ ენაზე წიგნის ფართოთ გავრცელების მიზნით.

— **ლატარიის გათამაშება** საქ. ცაკის დადგენილებით, სოც. უზრუნველყოფის, სასოფლო-მეურნეობის სასარგებლოთ, ლატარიის გათამაშება იხდება მომავალი წლის 28 თებერვლისთვის.

— **თბ. აღმასკომის** დებულების განსახილველათ საქ. ცაკმა გამოყო ცალკე კომისია.

— **საბჭოების მე-8 ყრილობის** ჩამწერებელ კომისიის თავმჯდომარეთ დაინიშნა ამხ. მათიკაშვილი.

— **სახ. სამ. გადასახადის ვადის გაგრძელება.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ გადასწყვიტა რაჭის მაზრას გაუგრძელოს სახ. სამ. გადასახადის ვადა ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით.

— **გლეხთა სასახლისათვის.** საქ. ცაკმა ნება დართო სოც. უზრუნველყოფის კომისარიატს მოაწყოს გლეხთა სასახლისა და გლეხკომების მთავარ კომიტეტის სასარგებლოთ ლატარია.

— **მუშტაიდის შესახვევის** შესაკეთებლათ ქ. აღმასკომმა გადასდო 9 ათასი მან.

— **ახალი ქუჩები.** თბ. აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილების გეგმით მომავალ წელში გააკეთებენ ქუჩების ახალ ქვაფენილებს 8 ათას ოთხკუთხ საჟენის მანძილზე.

— თბილისში ამჟამად არსებობს წერა-კითხვის მცირე-ცოდნის სალიკვიდაციო 60 სკოლა.

— **ტრამვაის პარკში** ვაგონების უფრო კარგათ შესანახათ, დირექციამ გადასწყვიტა გააფართოოს ვაგონების თავშესაფარი.

— **ტრამვაის დირექციამ** რუსეთის ქარხნებს შეუკვეთა მომავალი წლის მარაგის შესავსებათ ტრამვაისთვის საჭირო დახარისხებული რკინეულობა.

— **მისაბაძი მაგალითი.** ამხ. სტეფანე სარქისოვმა მირიმანოვის სახელობის სამხედრო კლუბში (ორთაჭალაში) გაიმართა კონცერტი, რომლის წმინდა შემოსავლიდან 50 პროც. (541 მ. 42 კ.) გადასცა თბილისის მაზრის გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტს.

— **ჯანსახკომთან** შემდგარმა თათბირმა დაადგინა, მუცლის მოშლა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია მშობიარეს სიცოცხლისათვის, რისთვისაც საჭიროა მუცლის მოშლის წინააღმდეგ მებრძოლი კომისიების ნებართვა.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღები.** ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატმა ამერიკაში შეუკვეთა 800.000 მან. სასოფლო-სამეურნეო იარაღების დამზადება.

— **ა.-კ. სახ. ვაჭრობის კომისარიატმა** გადასწყვიტა ა.-კავკასიისათვის საზღვარ-გარეთ შეიძინოს 50 მოტოციკლეტი.

— **დამზღვევი კასა** 18 დეკემბერს ხელახლა აღრიცხავს ახალგაზრდათა სექციის უმუშევრებს.

— **ქართული 1 და 2 დივიზიის** პოლიტგანყოფილებამ გამოსცა წიგნი: „სახელმძღვანელო პოლიტსაათის მეთოდიკისათვის".

შემთხვევები:

— ცეცხლი. 15 დეკ. სლეპცოვის ქ. № 3 გაჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა.

— გაუფრთხილებლობა. 15 დეკ. სლეპცოვის ქ. № 152, მდებარე ქარხანაში მომუშავე სოფრომოვს და მოპოდოვსკის დაენთოთ ეზოში ცეცხლი სპირტის კასრების გასაწმენდათ და როდესაც კასრი ცეცხლზე დასდვეს, კასრი გასკდა და სასიკვდილოდ დაშავდა სოფრომოვი, რომელიც გარდაიცვალა საავადმყოფომდე გზაში.

— გვამის პოვნა. 15 დეკ. აბაზის მოედნის ახლო მტკვარის ნაპირას იპოვეს ეკატერინე ჯასანჯალოვის გვამი, ძიება სწარმოებს.

— ქურდობა. 13 დეკ. მახარაძის ქ. № 11, მარიამ ხუბაშვილს მოპარეს ორი საბანი.

— ამავე დღეს შეიპყრეს ვინმე დანილოვი, რომელსაც ბრალდება ზემო აღნიშნულ საბნების მოპარვა

—14 დეკ. კრწანისის ქუჩაზე ამურის ქარხნის ეზოში მცხოვრებ ჩუქიანცს მოპარეს 16 ქათამი

— 15 დეკ. ნიკოლოზის სასაფლაოდან პეტრე ლოლაძის საფუტკრედან მოიპარეს ორი სკა.

მიიღება 1925 წლისათვის ხელისმოწერა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოზე —

ყოველდღიურ დიდ პოლიტიკურ გაზეთ

„კომუნისტზე"

ხელის მომწერლებს, რომლებიც წინდაწინ შემოიტანებენ ხვედრ ფულს, დაურიგდებათ შემდეგი

უფასო დამატებები

1. „კომუნისტი"-ს ორკვირეული დამატება „ჩირაღდანი"—8-დან 12 გვ.
2. „კომუნისტი"-ს ორკვირეული დამატება „მეცნიერება და ტეხნიკა"—8-დან 12 გვ.
3. ფ. მახარაძის წიგნი: „მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში"
4. ფრ. ენგელსი: „კომუნიზმის პრინციპები"
5. კ. ორაგველიძე: „რელიგია და მარქსიზმი"
6. მიხ. ადამაშვილი-ჯავახიშვილი: „კვაჭი კვაჭანტირაძე"

დამატებები შემდეგნაირათ იქნება განაწილებული:

ყველა (თვიურიდან დაწყებული) ხელის მომწერლებს მიეცემათ უფასოთ:

1. „ჩირაღდანი", 2. „მეცნიერება და ტეხნიკა"

ორივე გამოცემა დასურათებული იქნება.

გარდა ამისა

ექვსი თვით ხელის მომწერლებს, რომლებიც წინდაწინ შემოიტანებენ ხვედრ ფულს მიეცემათ:
1. ფ. მახარაძის წიგნი—„მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში"
2. ფ. ენგელსის წიგნი—„კომუნიზმის პრინციპები"
3. კ. ორაგველიძეს—„რელიგია და მარქსიზმი"

ერთი წლით ხელის მომწერლებს, რომლებიც წინდაწინ შემოიტანენ ხვედრ ფულს მიეცემათ:
1. მიხ. ადამაშვილის-ჯავახიშვილის წიგნი „კვაჭი კვაჭანტირაძე"

გაზეთი ეღირება:

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წ.-არმიელების, მოსწავლე ახალგაზრდობისა და მასწავლებლებისათვის

გაგზავნით

1 თვით	75 კაპ.	ერთი წლით	4 თვით	2—85 კაპ.
2 „	1—45 „	8—50 კაპ.	5 „	3—55 „
3 „	2—15 „		6 „	4—25 „

ყველა დანარჩენებისათვის:

თბილისში მიტანით:	
1 თვით	1 მან.
2 „	1—95 კაპ.
3 „	2—90 „
4 „	3—85 „
5 „	4—80 „
6 „	5—76 „
1 წლით	11—50 „

პროვინციაში გაგზავნით:	
1 თვით	1 მ. 20 კაპ.
2 „	2 მ. 35 „
3 „	3 მ. 50 „
4 „	4 მ. 65 „
5 „	5 მ. 80 „
6 „	6 მ. 95 „
1 წლით	13 მ. 85 „

საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეებში გაგზავნით 1 თვე 1 მან. 50 კაპ.
უცხოეთში — — — გაგზავნით 1 თვე 2 მან. 50 კაპ.

გაზეთი გამოდის 4-დან 6 გვერდამდე.

გაზეთს ჰყავს კორესპონდენტები ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქებში და დაბებში. საკმაოთ ფართო ქსელი კორესპონდენტებისა მოეპოვება მას ჩვენს სოფლებში, მათი რიცხვი თანდათან იზრდება.

საკუთარი კორესპონდენტები: ბაქოში, ერევანში, ყაზახში, მოსკოვში, ლენინგრადში, პარიზში, ლონდონში, ბერლინში, რომში

საბჭოთა სასამართლო

ღირსეული სასჯელი ავაზაკს

16 დეკემბერს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ გ. ჩანგიშვილის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების ლ. რურუას, კიკნაძის, პროკურორ ჩუბინაშვილის და მდივნის პაპაიანის მონაწილეობით გაარჩია საქმე ალახვერ ხამიდ ოღლის, რომელსაც ბრალად ედებოდა სოფელ თელეთიდან მომავალ გლეხების გიორგი კასპარიანცის ტერ-სარქისოვის და მისი შვილის ვანო ტერ-სარქისოვის გაძარცვა.

საქმის შინაარსი ასეთია:

1923 წელს, 8 იანვარს სოფელ თელეთიდან (თბილისის მაზრა) მოდიოდა სოფლელი გლეხი გიორგი კასპარიანცი ტერ-სარქისოვი თავისი შვილთან ვანო ტერ-სარქისოვთან ერთად. მამა-შვილს სოფლიდან მოჰქონდათ საოჯახო ნივთები, ოქროულობა, ტანთსაცმელები და სხვა ნივთები ქალაქში გასასყიდათ, რათა აღებული ფულით ეყიდათ ფქვილი ოჯახის წევრების გამოსაკვებად. მათ გზაში დახვედრია ხსენებული ალახვერ ხამიდ-ოღლი თავისი სამი ამხანაგით, გაუძარცვავთ ისინი, წაურთმევიათ ყველაფერი, გაუხდიათ მათთვის ტანთსაცმლები და გაქცეულან. ადმინისტრაციის მიერ მიღებული ზომებით შეიპყრეს ალახვერ-ხამიდ - ოღლი, რომელიც იცნო დაზარალებულმა გიორგი ტერ-სარქისოვმა. მას დაპატიმრებისას აღმოაჩნდა სწორედ ის „ნაგანი", რომლითაც მან თავი გაუტეხა ვანო ტერ-სარქისოვს გაძარცვის დროს. ამასთან ერთად ხსენებული ავაზაკი ალახვერ ხამიდ-ოღლი არის ძალიან შეძლებული მწყემსი: მას ჰყოლია საკუთრად 200 სული ცხვარი, კამეჩები და სხვა მრავალი შინაური საქონელი.

ბრალდება სასამართლომ დამტკიცებულად სცნო და სისხლის სამართლის კოდექსის 191 მუხლის მეორე ნაწილის და 76 მუხლის პირველი ნაწილის ძალით მიუსაჯა ალახვერ ხამიდ-ოღლის უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა, მთელი ქონების კონფისკაციით. განაჩენი საბოლოოა. სისრულეში მოყვანილი უნდა იქნეს 72 საათის განმავლობაში.

ხელოვნება

მეორე საჩვენებელი საღამო კონსერვატორიაში.

მეორე საღამოში მონაწილეობა მიიღეს მიხალსკაიას, რეშიმოვას და შულგინას ვოკალურ კლასების მოწაფეებმა.

სერიოზული მომზადება გამოიჩინა პროფესორ რეშიმოვას მოწაფე ქალმა ბუეანიშვილმა, რომელსაც ლამაზი, ხმოვანი და ფართო დიაპაზონის ლირიულ-დრამატიული სოპრანო აქვს; ამას გარდა ის მეტად მუსიკალურათ მღერის, სჩანს სერიოზული სკოლა.

მან შეასრულა ტეხნიკურათ მეტად ძნელი არია ელლინის ოპერიდან—სონამბულა და არაყიშვილის საუცხოვო რომანსი

ლამაზი ხმა რამოდენიმეთ მუქი ტემბრისა საშუალო რეგისტრში და განსაკუთრებული მუსიკალობა გამოიჩინა პროფესორ შულგინას კლასის მოწაფე ქალმა სტარჩაკოვმა

მან ყურადღება უნდა მიაქციოს სუნთქვის განვითარებას რის შემდეგაც უფრო ადვილი იქნება უკეთესი ფრაზიროვკის და ხანგრძლივი ბგერის მიღება.

შულგინას მეორე მოწაფე აივაზოვა ჯერ კიდევ სწავლების და ხმის განვითარების პერიოდშია.

მასწავლებელ მიხალსკაიას კლასიდან იმედებს იძლევიან ლევიტი და ოგანეზოვი.

ფორტეპიანოს კლასიდან კარგი შთაბეჭდილება დასტოვა პროფ. კეესნერის მოწაფე ქალმა, რომელმაც საკმაო სტილით და მუსიკალობით შეასრულა შოპენის ოთხი პრელიუდი.

შესამჩნევათ მიიწევს წინ მოწაფე ქალი ხაბურძანია.

საკმაო ნიჭი და მუსიკალობა გამოიჩინეს კამიევამ, სამაროვამ, თეძაევმა და კრასილნიკოვმა.

მ. ბ.

ძუკუ ლოლუას გუნდის კონცერტი.

დასავლეთ საქართველოში ხალხური სიმღერების მცოდნე და მისი ხალხში გამავრცელებელი—ძუკუ ლოლუა იყო. მთელი ოცდა ხუთი წლის განმავლობაში, ჰქმნიდა ის სახალხო მომღერალთა გუნდებს, რომლებთანაც ერთად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და ატკბობდა ხალხს მშვენიერი სიმღერებით. მისი მომღერალთა გუნდები შესდგებოდა უმთავრესათ სოფლის გლეხებიდან, მუშებიდან, ნოქრებიდან და მოწაფეებიდან. დღეს ჩვენ გვაქვს საშუალება მოვისმინოთ ახალგაზრდობის ტკბილი ღიღინი იმ კილოზე, რომლის დაცვა-გავრცელებაში ძუკუ ლოლუას მიუძღვის დაუღალავი შრომა და უდიდესი ღვაწლი.

საქართველოში როგორც წინეთ, ახლაც ბევრი არიან სახალხო რჩეული მომღერლები, მაგრამ უხელმძღვანელობის გამო, სამწუხაროდ მათი ნიჭი უნაყოფოდ იკარგება. ამის შესახებ პირველათ ძუკუმ აღიმაღლა ხმა და მისი წინადადებით ქუთაისის სახალხო მუსიკის მოყვარულ საზოგადოებამ მოიწვია ა. წ. ივნისში სრულიად საქართველოს მომღერლების, სახალხო მუსიკოსების და ლოტბარების კონფერენცია ქ. ქუთაისში, სადაც შექმნილი უნდა ყოფილიყო ერთი დიდი სახალხო მომღერალთა გუნდი, რომლის საშუალებით ჩვენ შევძლებდით ხალხური სიმღერების ნოტებზე გადაღება, მაგრამ სამწუხაროთ ძუკუს უდროოვოთ დაკარგვით, ეს მიზანი განუხორციელებელი დარჩა. დღეს მისი მომღერალთა გუნდი მართავს თბილისში კონცერტს, რომლის შემოსავალი მოხმარდება ძუკუს მიერ დასახულ მიზნებს.

ქ. გეგეჭკორი.

— **ქართული პოეზიის ანთოლოგია.** შესდგა პოეტების ერთი ჯგუფისაგან სარედაქციო კოლეგია, რომლის მიზანია შეადგინოს უახლოეს წლების ქართული პოეზიის ანთოლოგია

— **წიგნის საღამოები.** 1-ლი დივიზიის პოლიტგანათლებასთან შესდგა განსაკუთრებული კომისია ჯარის ნაწილებში წიგნის საღამოების მოსაწყობათ.

— **ბაჩანას ავადმყოფობა.** პოეტი ბაჩანა ამჟამად მძიმეთ ავათაა ფილტვების ნთებით და მოთავსებულია რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს ოპერაში წარმოდგენილი იქნება „ტრავიატა".

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს სომხურ ენაზე წარმოდგენილი იქნება „ლუიზი თუთიაუში"

— **ტარდი.** დღეს თეატრ ტარდში წარმოდგენილი იქნება: „ქალი იით".

— **„რიგოლეტო".** 18 დეკემბ. ოპერაში მიდის „რიგოლეტო". ჯილდას პარტიას შეასრულებს დასში ახლად მოწვეული ო. აგასოვა-კალანდაძე.

— **წითელი თეატრის რეპერტუარი.** ოთხშაბათს.17 დეკემბერს: „გესმის მოსკოვ" პიესა 3 მოქმედებათ ქართულ ენაზე; კვირას, 21 დეკემბერს: „აჩრდილი დასტრიალებს ევროპას"—4 მოქმედებათ ქართულ ენაზე. წარმოდგენა ფასიანია.

დღეს კინოებში.

— აპოლო—„ბოროტი ბავშვი"

— არფასტო „გრაფ მონტეკრისტო"-ს 1-ლი სერია.

— სოლეი—„მაწანწალა ხალხი".

— მინიონ—„ცხოვრების და სიყვარულის ტალღები"

— პალას—„ინდოეთის საიდუმლოებანი".

კინო

„ქარიშხლის წინა დღეებში"

საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა დაამთავრა დიდი კინო-სურათის „ქარიშხლის წინა დღეებში" გადაღება.

სურათი შეიცავს ერთ სერიას—8 ნაწილს. სცენარი დამუშავებულია შალვა დადიანის მიერ.

დადგმა კოტე მარჯანიშვილის. ოპერატორი—მოსკოვიდან საგანგებოთ მოწვეული—შტეგელმანი.

ლაბორატორია გადელიასი.

მთავარ როლებს ასრულებენ:

ივლიტა ჯორჯაძე, აონაზი, ქეთო ანდრონიკაშვილი, ელენე დოლიძე იძე და სხვები

მამაკაცები: ნიკო გოცირიძე, ალ. იმედაშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, ს ქეიძე, ლადო კავსაძე, შალ. ქართველიშვილი, ვლ. ალშიბაია და სხვები.

კინო-ფილმში დასურათებულია ქართველი გლეხობის ყოფა-ცხოვრება ბატონყმობის გაუქმების დროიდან რევოლიუციამდე.

სურათში ნათლად არის მოცემული ის, თუ როგორ იტანჯებოდა თავადაზნაურების უღლის ქვეშ ჩვენი გლეხობა, რომლის მდგომარეობა ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ არა თუ არ გაუმჯობესდა, არამედ კიდევ უფრო გაუარესდა.

ამასთანავე ფილმა მდიდარია საქართველოს ცხოვრებიდან ამოღებული სურათებით: თითქმის მთლიანათ ამოწურულია კინტოების ცხოვრება, დიდ სანახაობას წარმოადგენს ყეენობა, რომელშიაც მონაწილეობას იღებს 500 კაცი, მთლიანათ დასურათებულია სემინარიელების ცხოვრება და სხვა.

სურათის შავი მონტაჟი დამთავრებულია, თეთრი მონტაჟი დამთავრდება ერთ კვირაში.

სურათი ნაჩვენები იქნება დეკემბრის ბოლო რიცხვებში.

ფიზიკური კულტურა

სექციების გაუქმება.

საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა დროებით გააუქმა წყლისა და საზამთრო სპორტის სექციები.

ახალი წრეები.

მაკარონის ფაბრიკის მუშებმა, მეთამბაქოებმა, მეტყავეებმა და სხვა დარგის მუშებმა მოაწყვეს ფიზკულტურის რამოდენიმე ახალი წრე, რომლებიც იმეცადინებენ ორთაჭალის სასპორტო დარბაზში.

ახალი სასპორტო დარბაზი.

მეტყავეთა კლუბთან ორთაჭალაში მოწყობილია ახალი სასპორტო დარბაზი.

სამეცნიერო-ტეხნიკური კომიტეტი.

საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა სამეცნიერო-სამოსწავლო კომიტეტი გაეერთიანოს ტეხნიკურ კომიტეტთან, რის შემდეგაც შექმნილი იქნება ერთი მთლიანი განყოფილება „სამეცნიერო-ტეხნიკური კომიტეტის" სახელწოდებით.

არჩეულია კომიტეტის ახალი პრეზიდიუმი.

ფეხბურთელთა ლიგის გაუქმება.

ს. ფ. კ. უ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებით, ფეხბურთელთა ლიგა ამიერიდან ჩაითვლება ქვესექციათ სასპორტო თამაშობათა სექციასთან.

სრულიად საკავშირო შეჯიბრება.

ახლო მომავალში კიევში გაიმართება სრულიად საკავშირო შეჯიბრება მძიმე ატლეტიკაში. საქართველოს ფ. კ. უ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებით კიევში მიემგზავრებიან ამიერ-კავკასიის სპორტსმენები.

საბჭოთა კავშირის შენაკრები გუნდი თბილისში.

თბილისში მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა შენაკრები გუნდი ახლო მომავალში მიემგზავრება ოსმალეთში (სტამბოლში), იქაურ გუნდთან სათამაშოთ.

გავლით ის შეჩერდება თბილისში და ბათომში, სადაც შეეჯიბრება ადგილობრივ შენაკრებ გუნდებს.

მუშათა ცხოვრება

ალმასკომო, რას მეუბნები?

(საქართველოს მუშვლეხინის სარჩევართა ბიუროს და საქ. კომპარტიის საკონტროლო კომისიის საყურადღებოდ).

გთხოვთ, მიპასუხოთ, როგორ მოვიქცე (ვარ პარტიის წევრი, იმავე დროს კავშირის წევრიც): ბარგი სრულიად უკანონოდ, გაუფრთხილებლად გამომიყარეს გარეთ და ოთხი დღეა, ეხლაც, კიბეებზე ჰყრია (ტროცკის ქუჩა № 14). ვისაც მივმართე, ვერას გავხდი. ალმასკომის თავმჯდომარე მიპასუხებს: „განკარგულება იყო უმაღლეს ორგანოსი და მიუხედავათ იმისა, რომ თქვენ მართალი ხართ, მე მესმის თქვენი ჩივილი, მე რამ არაფერი არ შემიძლიან, სასამ არ მომივა ისევ იმავე ადგილიდან განკარგულება შესახლება ო; მივმართე პროკურატურას,— ვღებულობ შემდეგ პასუხს: „რადგან საბჭოთა სახლია და მით უმეტეს განკარგულება ყოფილა სახალხო კომისართა საბჭოსი (ერთ პატარა ოთახზე სახალხო კომისართა საბჭოშიც კი ისმება საკითხი), ჩვენ არ შეგვიძლიან არაფერი, გარდა საყვედურის გამოცხადებისა.

უნდა მოგახსენოთ, რომ მოქ. ინგოროყვას, რომელსაც გადასცეს ჩემი ოთახი (ორ სულს) ეჭირა 138 კვ. არშ. ჩემი ოთახის მიმატებით ეხლა უჭირავთ 196 კვ. არშ. გთხოვთ მიპასუხოთ ამ კითხვაზე: რომელი კანონის ძალით ეკუთვნოდა მოქ. ინგოროყვას ასეთი ნორმა და ან ასე ქუჩაში ბარგის გადმომყრელს პარტიის და კავშირის წევრისას გაუფრთხილებლად რა ეკუთვნის? მეოთხე დღეა ვიმყოფები ქუჩაში. თუ ძალადობა არის კანონიერი, მაშინ ჩემის აზრით კანონიერი იქნება ჩემი ბარგი, რომელიც ეხლაც ჰყრია მოქ. ინგოროყვას კარებთან, მიათვისოთ მას.

თ. ცქიტიშვილი.

ქუჩის ბავშვებს მიხედოთ

(უპატრონო ბავშვთა საზოგადოების საყურადღებოდ).

ზამთარმა თავის კანონიერი ადგილი დაიჭირა. გარეთ, ქუჩაში ძლიერ აცივდა, რაც აუტანელ მდგომარეობას ჰქმნის იმ უწვეო უპატრონო ბავშვებისათვის, რომლებიც დღე და ღამ ქუჩის ქვაფენილებზე არიან და სიცივ-სიმშილით სული ეხუთებათ.

ამ ბოლო ხანებში ძლიერ გავრცელდა თბილისის ქუჩების უმთავრეს ადგილებში, თითქმის სრულიად შიშველ-ტიტველი ბავშვების თავის მოყრა და მათხოვრობა. ხშირად ტრამვაის სადგურებთან და რკინისგზის სადგურზე ამ ბავშვთა უმთავრეს ნაწილს შეადგენენ რუსეთიდან ჩამოსულ მცირე-წლოვანი, უსახლ-კარო, მოკლებული მშობლიურ მზრუნველობას და პატრონობას რუსის ბავშვები.

მათ, ცხადია, მშობლები 1921 წლის საშინელმა სიმშილობამ დალუპა და ეს ბავშვები დღეს სრულიად უპატრონოდ ქუჩებში დაეხეტებიან და მათხოვრობენ. ისინი უნდა აღიზარდონ და სასარგებლო მოქალაქეები გამოვიდენ საბჭოთა ქვეყნებისათვის.

მუშკორი უ—ძე.

ასეთ უსამართლობას ბოლო უნდა მოეღოს

(რკ. გზის უფროსის საყურადღებოთ).

საქ. რკინის გზის დარგში თბილისის ფარგლებში არც ერთი დაწესებულება არ მოიპოვება, რომ შეშის საწყობიდან ამ დარგის მუშა-მოსამსახურე შეშას არ იწერავდეს. აგერ ექვსი თვე გადის, რაც შეშის მოთხოვნილებები მოგვცეს, ფული უკვე გამორიცხულია ჩვენი ჯამაგირებიდან, შეშის მიღება კი არ ხერხდება. თუ ყველა მუშა-მოსამსახურის დაკმაყოფილება არ შეუძლია საწყობს, ფულს წინდაწინ რაღას გვირიცხავდენ ჯამაგირიდან. ეხლა რა ვქნა: 16 მანეთი გამორ[illegible]ხული მაქვს და ახლა კიდევ ბ[illegible]ზედ იმდენივე მივცე შეშაში? [illegible] რითი ვიყიდო. ასე მარტო მე კი არა ვარ; ასეთ მდგომარეობაში არიან ბევრი ჩემისთანა მუშებიც. როცა მოდის შეშა, ან სულ მაგარი ხარისხისას იძლევიან, ან რბილისას. რატომ ერთმა სულ მაგარი ხარისხის უნდა შეშა წაიღოს, მეორემ კი რბილის? განა არ შეიძლება, რომ შუაზედ გაუყოთ წამლებს ისე, რომ ნახევარი მაგარი წაიღოს და ნახევარი რბილი. შეშის ფასებში დიდი განსხვავება არ არის: საჟენში სულ ოთხი მანეთია და ამას როგორც ამბობენ ყველა დარგის მუშები, არც ერთი ჩვენთაგანი არ დაიშურებს, რომ შეშა დროზე მიიღოს. მოგვეცით შეშა. ძალიან გვცივა.

მუშა მექვაბე.

ჩვენ რა დავაშავეთ

(რკ. გზის სამმართველოს პროფკავშირის საყურადღებოდ)

ჩვენ, ფოთის ხაზის მუშა-მოსამსახურეებმა გამოვაქვეყნეთ გაზეთ „კომუნისტის“ № 265 (1120) ამა წლის 20 ნოემბ., სადაც მოვითხოვდით მუშა-მატარებელს მხოლოთ შაბათობით, აგრეთვე მივმართეთ ადგილობრივ კომიტეტსაც განცხადებით, რომელზედაც 66 კაცი აწერენ ხელს, მაგრამ ადგილკომმა უარი განგვიცხადა შუამდგომლობაზე. ამისათვის ვეკითხებით, ვისაც ეს ეხება: ჩვენ რა დავაშავეთ. თუ ხუთ-ექვს კაცს ყოველ დღე ჰყავს მუშა-მატარებელი სხვადასხვა სადგურებს შორის, ჩვენთვის ნუ თუ კვირაში ერთხელაც არ შეიძლება?

რკინისგზელი კოლია თარ—ძე.

გამოგზავნილ წერილებიდან

ის დრო აღარ არის

(რკ. გზის საუბნო პროფკავშირის საყურადღებოდ)

სარონოდო განყოფილების ადმინისტრატორი ბ-ნი შიშკოვი მუშებს ისე უყურებს და ექცევა, როგორც მონებს და ხშირათ ლანძღვა-გინებითაც უმასპინძლდება. ნუ დაივიწყებს, რომ ეხლა ნიკოლოზის დრო აღარ არის.

მისი ალაგმვა აუცილებელია!

მუშკორი მორიელი.

მუშაა თუ მიკიტანი?

(თბილისის მთავარი სახელ. ადგილკომის საყურადღებოდ)

დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ, ჩარჩ-მიკიტნების და სპეკულიანტების წინააღმდეგ თითქმის მივაღწიეთ იმ მიზანს, რომ ლენინის უბანში სამიკიტნოები აღარ არის, მაგრამ საუბედუროთ ზოგიერთი მუშა-მოსამსახურე სარგებლობს ამით და თავიანთ სახლებს სამიკიტნოებად აქცევენ, მაგ. მუშა ვანო მჭედლიძე (პოგრანიჩნი ქ. № 4).

დანარჩენებიც გაფრთხილდნენ, თორემ მათი გვარებიც გამოცხადდებიან. ასეთ მუშებს მუშათა შორის ადგილი არ უნდა ჰქონდეთ.

მუშკორი მესხეთელი.

შეაკეთეთ მუშათა სახლი

(ქალ. ალმასკომის და საბინაო კოოპერატივის საყურადღებოდ)

მეტად სავალალო მდგომარეობაშია მუშათა სახლი (ელისაბედის ქუჩაზე № 118). სახურავს შეკეთება სჭირდება, ვინაიდან წვიმების დროს მუშები დიდ შეწუხებაში ცვივდებიან. საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

მუშა კიბულა.

გაანათეთ ქუჩები

(ქალ. [illegible]მასკომის საყურადღებოდ)

მე-9-ე [illegible]მილიციო რაიონში მესამე ალექსეევის ჩიხში სცხოვრობენ უმეტესად მუშები. ამ ჩიხში სულ ექვსი სახლია, [illegible]ც ერთს არ ჰყავს მეეზოვე და არც ერთს არ უნთია ფანარი, აგრეთვე ეს ჩიხი ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. ყურადღება მიაქციეთ, სანამ ქურდ-ბაცაცებმა გზა არ შიაგნეს.

მუშა გოგა.

რკინის გზებზე

— **უპატრონო ბავშვების შესახებ.** რკ. გზ. სანიტ. კომისიამ მოსთხოვა სათანადო ორგანიზაციებს ადევნონ თვალყური რკ. გზ. სადგურებზე მყოფ უპატრონო ბავშვების სანიტარულ მდგომარეობას.

— **გადმოხარშული წყალი.** რკ. გზ. სანიტარული კომისია მოძრაობის დარგის და სალიანდაგო სამსახურებთან ერთად იმუშავებს გადმოხარშულის წყლის ხვრების საქმეს რკ. გზ. სხვადასხვა სადგურებზე.

— **ახალი ადგილკომი.** რკ. გზ. სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე მოხდა ადგილკომის ხელახალი გადარჩევა, რომელშიაც არჩეულ იქნა 13 წევრი და 4 კანდიდატი.

— **„ლენინელი“.** რკ. გზ. სამმართველოს კომუჯრედმა გამოსცა კედლის გაზეთ „ლენინელი“-ს მე-28 ნომერი.

„წითელი კურსანტი“. რკ. გზ. პროფგანათლების კურსების ადგილკომის კულტკომისიამ გამოსცა კედლის გაზეთ „წითელი კურსანტის“ მორიგი მე-2 ნომერი.

წერილები პროვინციიდან

წერილი ახალციხედან

ქალაქის ახალი ნაწილის ბიბლიოთეკა-სამკითხველო

ქალ. ახალციხის ახალ-ნაწილის ბიბლიოთეკა სამკითხველო მოთავსებულია სომეხ-გრიგორიანთა ყოფ. დიდს ეკლესიის (სოპორის) შენობაში—ამხ. ფილიპე მახარაძის ქუჩაზე.

წიგნებით სარგებლობს 300 კაცი.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოში დღიურად საშუალოდ შემოდის 20 კაცი ჟურნალ-გაზეთების წასაკითხავად.

ამ ჟამად ბიბლიოთეკა-სამკითხველოში რუსულ ენაზე წიგნებია სულ 4554 ცალი, სომხურ ენაზე—1488 ც., ქართულ ენაზე 128 ც. და გერმანულ და ფრანგულზე 27 ცალი.

ბიბლიოთეკა-სამკითხველო იღებს ყოველ დღე გაზეთ „კომუნისტს“—2 ცალი, „მოწაფეთა ხმას“—1 ც., გაზეთ „მარტაკოხს“—1 ც., გაზეთ „ზარია ვოსტოკას“, გაზეთ „რაბოჩაია პრავდას“ და „იზვესტიას“ თითო ცალს. ჟურნალებს „ჩირაღდანს“, „წითელ ნივას“, „ოგონიოკს“ და სხ.

შენობა სრულიად არ შეეფერება ბიბლიოთეკა სამკითხველოს, ვინაიდან იგი, როგორც ყოფ. ეკლესიის შენობა ძალიან დიდია, დაგებულია ქვა და მით უმეტეს ზამთარში იქ შეუძლებელია მუშაობა და გაზეთის კითხვა, რადგან ძალიან ცივა. თუმცა ერთი ღუმელი დგას, მაგრამ ამისთანა შენობას ერთი კი არა, ხუთი ღუმელიც ვერ გაათბობს. დიდი მადლობის ღირსია ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგე ამხ. შიო ინასარიძე, რომელმაც ფხიზლად მოაწყო ბიბლიოთეკა-სამკითხველო. იგი თითქმის ყოველ დღე ზედმეტათაც კი მუშაობს. მაგალ. იგი მოვალეა ბიბლიოთეკა-სამკითხველოში იყოს დილის 10 საათიდან დღის 1-ლ საათამდე. აი სწორეთ ამ უკანასკნელ დროს მოწაფეები სასწავლებლიდან ბრუნდებიან სახლში—მოდიან ბიბლიოთეკა-სამკითხველოში ჯგუფ-ჯგუფად წიგნების გამოსაცვლელად და ასე ხშირად საათის სამამდე იგი უცვლის წიგნებს.

ახალგაზრდა მესხი.

სოფელი ძეგვი.

(გორის მაზრა)

სოფელ ძეგვი გორის მაზრაში შედის, მაგრამ უფრო თბილისთან ახლო მდებარეობს. ამ სოფელში ოთხასამდი მცხოვრებია, თუმცა ეს სოფელი კულტურულად ჩამორჩენილია, მაგრამ მიუხედავად ამისა ყველა ჩაბმულია საღმშენებლო საქმეში, როგორც კაცები, ისე ქალები, აქ უფრო საყურადღებოა ქალთა ორგანიზაცია, რომელიც დიდს ენერგიას იჩენს საღმშენებლო საქმეში; მან უკვე გახსნა ხელსაქმის სკოლა მოზრდილთათვის, რომელშიაც შედის 60 მოწაფე, მასწავლებლებად ადგილობრივი ორგანიზაციიდან არიან დანიშნულები, რომლებიც ენერგიულად მუშაობენ სრულიად უჯამაგიროდ. ქალთა ორგანიზაციას მიზნათ აქვს დასახული ამ მოკლე ხანში შეიძინოს საქსოვი და საკერავი მანქანები, ამასთანავე ყოველ კვირა იმართება პოლიტმეცადინეობა ამხანაგ სანიძის ხელმძღვანელობით

ქალთა ორგანიზაციის წევრი მ. იაშვილისა.

ჯოლო-აბედათის თემის ავ-კარგი

(სენაკის მაზრა)

ეს თემი როგორც სამაზრო, ისე რაიონული ცენტრიდან დიდათაა დაშორებული. ეს თემი საგრძნობლად ჩამორჩენილ თემად ითვლებოდა სწავლა განათლების მხრივ მთელ რაიონში გასაბჭოებამდე. გასაბჭოების შემდეგ მაზრის განათლების განყოფილებამ დიდი ყურადღება მიაქცია ამ თემს. ამ თემში არსებობს ერთი შვიდ-წლიანი და მეორე ოთხ-წლიანი სასწავლებელი.

მცხოვრებთა მთელი ოთხმოცი (80 პროც.) პროცენტი ამ თემში წერა-კითხვის უცოდინარი იყო. იქნა დაარსებული წერა-კითხვის უცოდინარის სალიკვიდაციო სკოლა. წერა-კითხვის უცოდინარობა თუ არა 80 პროც.-ით, 60 პროც.-ით მაინც მოისპო.

ადგილობრივი თემის საბჭოს ხელმძღვანელობით ბევრი რამე კეთდება აღმშენებლობითი დარგში.

სწარმოებს სასწავლებლების შეკეთება, სახალხო სახლების აშენება, ახალი გზების გაყვანა, ძველი და ურმის გზების შეკეთება და სხ. ხალხიც დიდი ხალისით ეტანება აღმშენებლობითი მუშაობას.

აქ არის გახსნილი ორი კოოპერატიული განყოფილება; ერთი სრულებით არ მუშაობს, მეორე კი მოიკოჭლებს და ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივი მცხოვრებთა მოთხოვნილებას. ამას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

მ. ნარსია

სოფ. ონტოფო

(სენაკის მაზრა)

ონტოფოს თემში ითვლება 450-დე მოსახლე. ონტოფო მახლობელ სოფლებს შორის ძალიან მოწყობილი სოფელია. იქ არის შემდეგი დაწესებულებები: სასამართლო, აფთიაქი, კლუბი, კოოპერატივი, სკოლა. მიმდინარე სამოსწავლო წლის ამხ. დიმიტრი გოჩალეიშვილმა ონტოფოს სკოლის მოწაფეებს უფასოდ დაურიგა ყველა სასწავლო ნივთები და აგრეთვე დააყენა ოსტატები და შეაკეთა სკოლა.

პ. ნ—ლი.

ბუზე გვახრჩობს!

ქ. სენაკის აღმოსავლეთით, მდ. ფისუს გადაღმა, მოსახლეების—ცხაცია ხოფერიების უკან, რკინისგზის მიწა-ადგილზე დაგუბებულია წყალი. მოვა თუ არა წვიმა, აივსება ეს გუბე. ვერ მიდის ვერსად და ხელს უშლის მცხოვრებთა სამოსახლო ადგილებს. ამასთანავე ყველამ ვიცით დაგუბებული წყლის თვისებები. რომ ნებართვა ჰქონდეთ მცხოვრებთ, შეიძლებოდა ამ გუბისათვის გაკეთებული ღარი მდ. ფისუზე (სულ ახლოს არის) და გუბეში წყალი არ გაჩერდებოდა. მაგრამ ნებართვა საჭიროა რკინისგზის სამმართველოსაგან, რადგანაც მიწა-ადგილი მას ეკუთვნის.

ბოლოსდაბოლოს საჭიროა ამ მდგომარეობას სათანადო ყურადღება მიექცეს და მიეცეს წყალს სავალი ადგილი.. რკ. გზის სან-კომისიავ, მიაქციე ამას ყურადღება!

ბ. უჩანეიშვილი.

სკოლა შორს არის

სოფ. ჭესი (რაჭის მაზრა)

1920 წელს ჭესის საზოგადოებაში დაარსდა ოთხწლიანი შრომის სკოლა. ამ სასწავლებლით სარგებლობდენ შემდეგი სოფლები: ს. ჭესი, კვაცხუთი, ჯაგესა, ხიმში, კლდის უბანი და ნაწილი მუხლის სოფლის. როდესაც მოხდა გარაიონება, მოხსენებული სასწავლებელი გადაუტანიათ სოფ. ამბროლაურში ჭესის რაიონში შემავალი სოფლები ს. ამბროლაურიდგან დაშორებული არიან 4 7 ვერსით, ყოველ დღე ბავშვებს სჭირდებათ 8-14 ვერსის გავლა. როდესაც მშრალი ამინდებია, კიდევ დაიარებიან ფეხშიშველი ბავშვები, მაგრამ როდესაც იწყება წვიმები და ადიდდება მდინარე წყლები, მაშინ კი უსათუოთ უნდა შესწყვიტონ ბავშვება სასწავლებელში სიარული და გააცდინონ რამოდენიმე თვე და კვირა. ძალიან სასურველი იქნებოდა სამაზრო ალმასკომი მიაქცევდეს ყურადღებას ამ გარემოებას.

ნ. რ—ველი.

საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგ. თელავში

თელავში დაიწყო მუშაობა საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებამ.

5 დეკემბერს 1924 წ. შესდგა პირველი სხდომა ამ საზოგადოების პრეზიდიუმისა.

სხდომაზე გაირჩა ათი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. გამოყოფილ იქნა პრეზიდიუმის წევრთაგან საორგანიზაციო და საპროპაგანდო განყოფილებების გამგეები, რომელთაც დაევალათ მომავალი სხდომისათვის წარმოადგინონ გეგმა მომავალი მუშაობისა; აგრეთვე პრეზიდიუმმა გამოყო თავის წრიდან ორი კორესპონდენტი: ერთი გაზეთ „კომუნისტი“-სათვის და მეორე „ზარია ვოსტოკა“-სი, რომელთაც დაევალებული აქვთ სისტემატიურად გზავნონ ცნობები პრესაში, ხსენებულ საზოგადოების მუშაობის შესახებ.

პრეზიდიუმის მთავარი ყურადღება მიქცეულია იქით, რათა ამ მოკლე დროში, როგორც ქალაქის მუშა მოსამსახურეები, ისე მთელი მაზრის გლეხობა ჩააბას საზოგადოების მუშაობაში.

შ. ქ—ძე.

პროვინციის ქრონიკა

— **არხის გაყვანა.** ბორჩალოს ალმასკომმა აღძრა შუამდგომლობა ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს წინაშე, რათა მდ. დებედა-ჩაიდან შაუმიანის რაიონში გაყვანილი იქნას არხი.

— **ელსადგური.** სამხრეთ-ოსეთის ცაკმა დასდო წინასწარი ხელშეკრულება ელმაშენტრესტთან ცხინვალში ელსადგურის ასაგებათ.

— **რამდენი სკოლაა ოსეთში.** სამხრეთ-ოსეთში ამ ჟამად სულ 65 სკოლაა, აქედან—48 ოსური, 15 ქართული და 1 სომხური.

— **კურორტების გამშვენიერება.** ქუთაისის სამაზრო გლეხკომმა გადასწყვიტა მომავალ საზაფხულო სეზონისათვის მოაწყოს და გაამშვენიეროს მაზრის ყველა კურორტები.

— **ახლო ხანში** შეუდგებიან ლიუქსემბურგის გამშვენიერებას. პირველ რიგში მოწყობილი იქნება ლენინის სახელობის ბაღი.

— **ბორჩალოს ალმასკომი** შეუდგა სამზადისს მაზრაში საბჭოთა არჩევნების ჩასატარებლათ.

— **დაჭრილ და დაავადმყოფებულ** წითელარმიელთა დასახმარებლათ ბორჩალო[illegible] შესდგა კომისია.

— **სამხედრო-საბიბლიოთეკო ჟურნალი.** 1-ლი დივიზიის პოლიტგანათლების საბიბლიოთეკო სექციამ დაადგინა სტეკლოგრაფიის საშუალებით გამოსცეს ჯარის ნაწილებისთვის სამხედრო-საბიბლიოთეკო ჟურნალები.

— **ახალი ამბულატორია.** აჭარის წითელმა ნახევარმა მთვარემ ბათომში გახსნა ახალი ამბულატორია, სადაც უფასოთ საექიმო დახმარება მიეცემათ მაზრებიდან ჩამოსულ ავადმყოფ გლეხებს.

— **სახელოსნო-სავაჭროების გახსნა.** ქუთაისის სამაზრო გლეხკომმა დაადგინა გახსნას სახელოსნო-სავაჭროები იმ სოფლებში, სადაც კოოპერატივები არაა.

პროვინციის ფოსტა

ი. დუთუნაიშვილ[illegible]. თქვენი კორესპონდენცია არ დაიბეჭდება. კორესპონდენციები შეგიძლიათ გზავნოთ, გამოგვადგება—დაიბეჭდება.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ხუთშაბათს, 18 დეკემბერს, დილის 11 საათზე ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საგიტაციო განყოფილებაში მოწვეულია თათბირი, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი „კომკავშირის შობის“ კამპანიის ჩატარების შესახებ.

მოწვეულნი არიან ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილების, ახალგაზრდა პიონერების თბილისის ბიუროს, ქალაქის ალმასკომის პოლიტიკური განათლების მთავარ მმართველობის, ს. კ. პ. თბ. კომ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების წარმომადგენლები.

წარმომადგენლებს ვთხოვთ გამოცხადდენ სრულ 11 საათზე.

ა. ლ. კ. კ. თბ. კომ. საგიტაციო-საპროპ. განყ. გამგე პიტერსკი.

ხუთშაბათს, 18 დეკემბერს, ცენტრალურ პარტიულ კლუბში შესდგება გერმანული ენის შემსწავლის წრის საორგანიზაციო კრება.

ჩაწერილი ამხანაგები: ზორინი, ჭანტურია, აკოპოვი, ბაიკოვა, ტანაკანოვი, ლიბერმანი, რავიჩი, ციჩმანი, სოლოვიევა, მეტენინი, ლიახოვი, ბარტოლი, ზაბოროვსკი და მაშკევიჩი უნდა გამოცხადდენ საღამოს 7 საათზე ცენტრალურ პარტიულ კლუბის მცირე დარბაზში, სადაც მოხდება მათი ჯგუფებათ დანაწილება.

კლუბის გამგეობა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **მე-3 რაიკომი** იტყობინება, რომ ხუთშაბათს, 18 დეკემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე, მესამე რაიონის პარტიულ კლუბში **შესდგება ქიმიური საზოგადოების სამოქალაქო და სამხედრო უჯრედების მდივანთა და რწმუნებულთა თათბირი.** იმ დაწესებულებებში და წარმოებებში, სადაც ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი ქიმიური საზოგადოების უჯრედები, კომუჯრედების ბიუროებმა უნდა გამოყონ სპეციალური რწმუნებულები და უნდა გაგზავნონ ისინი თათბირზე.

გასარჩევ საკითხების მნიშვნელობის გამო ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ რაიკომში სწარმოებს „რემედასს“-ის, საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების და ქიმიური საზოგადოების ყველა სამხედრო უჯრედების რეგისტრაცია.

რეგისტრაცია იწარმოებს ხუთშაბათს 18 დეკემბერს და პარასკევს 19 დეკემბერს დილის 10 საათიდან დღის 4 საათამდი.

ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 17 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, მესამე რაიკომის ბინაზე შესდგება **მე-3 რაიონული კომიტეტის პლენუმის სხდომა უჯრედების მდივნებთან ერთად.**

დღის წესრიგი: 1. მე-3 რაიონის უჯრედების გასინჯვის შედეგები (რაიკომის ინფორმატორის მოხსენება), 2. მოხსენება ტყავის ტრესტის მუშაობის შესახებ, 3. პარტიული კლუბის შესახებ და 4. მიმდინარე საქმეები.

მდივანი ვართაპეტიანი

დღეს, 17 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის ალმასკომის დარბაზში შესდგება საქართველოს კომუნისტური სტუდენტობის პირველი კონფერენცია.

დღის წესრიგი: 1. საქართველოს კომუნისტური სტუდენტობის მორიგი ამოცანები, 2. სტუდენტთა კოოპერატივის გამგეობის ფრაქციის ანგარიში, 3. პროლეტარული სტუდენტობის თბილისის ბიუროს ფრაქციის ანგარიში, 4. განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება, 5. უმაღლეს სასწავლებლების უჯრედების გაერთიანებულ ბიუროს არჩევნები.

მანდატების მისაღებათ დელეგატებმა უნდა მიმართონ ქალაქის რაიკომში.

უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ კომკავშირის უჯრედების ბიუროების ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

მდივანი სტურუა.

დღეს, საღამოს 7 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგება კორესპონდენტ ქალთა რუსული წრის კრება.

ყველა კორესპონდენტ ქალების დასწრება სავალდებულოა.

დღეს, 17 დეკემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე საქართველოს კომპარტიის ცეკას ბინაზე შესდგება **ცეკას საორგანიზაციო კოლეგიის მორიგი სხდომა.**

დღის წესრიგი: 1. სოფლის უჯრედების თათბირის მოწვევის შესახებ. 2. დამტკიცება დებულებისა კოოპერატიული კომისიების შესახებ სამაზრო და საოლქო კომიტეტებთან. 3 ფართო და სწორი ინფორმაციის მოწყობა, 4. მიმდინარე საქმეები.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის:

1. კოსტანიანი, 2. საკიანი (ო. კ. პ. ა/კ. ს. კ.), 3 რუხაძე (სახელ. პოლიტ. ინსტიტუტი), 4. ათოევი (ს. პ. კ. ს.), 5. გეურკოვი (ა. ლ. კ. კ. ცეკა), 6. სვანაძე (ს. კ. პ. თბ. კომ.), 7. კრუგლიკოვი (კავკ. წითელდროშ. არმიის პოლიტ. სამმართველო), 8. კვირიკაძე (ქართული დივიზიის პოლიტ. სამმარ.) და საქ. კომპარტიის ცეკას ყველა განყოფილებების და ქვეგანყოფილებების გამგეები თავთავიანთი ინსტრუქტორებით.

ს. კ. პ. ცეკას საორგანიზაციო კოლეგიის მდივანი ჟღენტი.

განცხადებები

გულდაწყვეტილი ლევანი სპირიდონის ძე, ალექსანდრე და არტემი, ჰუპუ და ტერეზია, მედანია და კატუშა გულუები და ნოე არკადის ძე ლოლობერიძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 4 დეკემბერს უდროოთ გარდაიცვალა ქ. ახალ-სენაკში მათთვის დაუვიწყარი ძვირფასი და საყვარელი, პირველის შვილი, მეორეთა და მესამეთა ძმა, მეოთხეთა მაზლი და უკანასკნელის ცოლის ძმა ქ. სენაკის ცხრაწლედის მასწავლებელი

სიმონ ლევანის ძე გულუა

ცხედრის წასვენება ქ. სენაკიდან სოფ. ჭალადიდში მოხდა 6 დეკემბერს, დილის 10 საათზე, ხოლო დაკრძალვა იქნა 10 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე. 3085 1-1

ქ. სენაკის ცხრაწლიანი შრომის სკოლის მასწავლებელთა შემადგენლობა და მოწაფეები აუწყებენ მეგობართა და ნაცნობთ—პირველნი დაუვიწყარ და საყვარელ ამხანაგის,—მეორენი ძვირფას მასწავლებლის

სიმონ ლევანის ძე გულუას

უდროოდ დაკარგვას, რომელიც დაკრძალული იქნა ოთხშაბათს, ნაშუადღევის 11 საათზე, 10 დეკემბერს, სოფ. ჭალადიდში.

3085 1—1

სახელმწ. ოპერა
დღეს, 17 დეკემბერს
ტრავიატა
ხუთშაბათს, 18 დეკემბერს
რიგოლეტო
პარასკევს, 19 დეკემბერს
ჰუგენოტები
ნ. 361 3—1

სახელმწ. დრამა
ხუთშაბათს, 18 დეკემბერს
სინათლე
შაბათს, 20 დეკემბერს
ცხვრის წყარო
კვირას, 21 დეკემბერს
ლატავრა
ი. 392 5—1

ს. კ. პ. ცეკას გამომცემლობათა მთავარი კანტორა
გაუქმებულად აცხადებს
მანდატს, რომელიც ამა წლის ოქტომბრის 23-ს № 11776-ით მიეცა მოქალაქე ალექსანდრე ესაკიას (განცხადებათა შემკრები აგენტი)
2—1

ცენტრალურ სავაჭრო სააქციონერო საზოგადოების „ცატო“
ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობა
(თბილისი, მილიციის ქ. № 2) აცხადებს ყველა დაწესებულებების, ორგანიზაციების და კერძო პირების საყურადღებოდ, რომ დაიწყო ოპერაციები
ჯაგარი, და ყველა სახის
ბეწვეულის შესასყიდათ და დასამზადებლად
„ცატო“-ს წარმომადგენელი ამიერ-კავკასიაში: ქ. გლიკი

საყურადღებოთ ქალ. თბილ. მოქალაქეთათვის,
რომლებიც ეწევიან ს. მ. უ. ს.
თამბაქოს ტრესტის ნაწარმოებს
(პაპიროსებს, თუთუნს)
თბილისის ქუჩებზე თამბაქოს ნაწარმოების გამსაღებელთა არტელის ყოველი წევრი
ვალდებულია იქონიოს პრეისკურანტი
და ჰყიდოს თამბაქოს ნაწარმოებ[illegible]
არა უმეტეს იმ აღნიშნულ ფასებისა

გამოდის რა მომხმარებელთა ინტერესებისაგან, არტელის გამგეობა სთხოვს მათ შეგვატყობინონ ყოველი ცალკე შემთხვევა, როდესაც არტელის რომელიმე წევრი ივაჭრებს უპრეისკურანტოთ ან გაჰყიდის აქონელს არა საპრეისკურანტო ფასად. (მისამართი სომხის ბაზარი № 62. ტელეფ. № 12—29). ასეთი წევრი დაუყოვნებლივ გამორიცხული იქნება არტელის შემადგენლობიდან.

ნის. 366. 3—2 არტელის გამგეობა.

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დარსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 დან—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205. 25—16

ექიმი
გ. გ. მეგრაბიანცი
ავადმყოფობა ფილტვების, გულის, ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალერიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი. ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.
მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.
13—5 2746

ექიმმა
ზანდუკელმა
განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი და ნერვიული
სნეულებანი
ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათამდი. ლენინის (ოლღას) ქ., 49, ტელ.—82.
№ 2797—25—22

ექიმმა
დიტრიხმა
ავადმყოფობის შემდეგ
განაახლა
ავადმყოფების მიღება გერმანელთა საავადმყოფოში
ქვ. № 2837—25—17

კერძო
გინეკოლოგიური და ქირურგიული
საავადმყოფო
თერაპევტიული განყოფილებით
სტაციონალურ ავადმყოფთა, გარდა გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს. ამბულატორული მიღება მეანობაში და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.
სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13.
ცნობების მიღება: ექიმი შახნაზაროვის ტელეფონით № 7—14—4.
ნის. 372 100—3

ექიმი
ს. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის, ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი).
ავადმყოფების მიღება 9-დან დღის 12 საათამდე და 4-დან საღამოს 7 საათამდე, ქალების—2-დან 4-დე. ელისაბედის ქუჩა, № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.
3083 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა.
მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოვო“-ს პირდაპირ. 25—17 № 2850

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მუნსე
ბავშვთა და მოზრდილთა შინაგან, ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობანი.
ელექტრო-სინათლით საექიმო კაბინეტი. მიღება დილით 10—12 საათამდი, საღამოს 5—7 საათ. გარდა უქმეებისა.
პლეხანოვის პრ., № 111 (ყოფ. მიხეილის ქუჩა), ბინა 2.
№ 2969 25—10

ექიმი
პ. რ. ვართანოვი
სიფილისი. კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.
მიღება: დილით 9—10 ს. საღ. 5—7 ს. მისამართი: სურამის ქ. № 9. კუთხე სადგურის ქუჩისა. რკინის გზის სამმართველოს მახლობლათ.
25—2

ექიმი
მუხმანი
სიფილისის, ვენერიული და კანის ავადმყოფობის
მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდი
ელისაბედის ქ. № 89 ქსენიის ქუჩის პირდაპირ. 2672—25—5

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთაველის პროს. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).
25—6

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
ღებულობს ქალთა სნეულებათა ავადმყოფებს და უწევს სამეანო დახმარებას. მიღება დილის 8—10-მდე საღ. 3—7-მდე. ოლღას ქუჩა № 35
25—7

დავკარგე „ოპისის“ საწევრო წიგნაკი № 1894, გაცემული სათო მგელაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. უ. 1—1

დავკარგე 1914 წელში მიღებული პასპორტი ივანე შალანგინის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1076 1—1

დავკარგე დაზღვევის წიგნაკი № 24.98 ბესარიონ წიფურიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 3078 1—1

დავკარგე პირად. წიგნაკი, უვადო შეგირდებაში დათოვის საბუთი გიორგი იოსების ძე მოვრალიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 3082 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა, მოცემული ლენინის სამაზრო ალმასკომიდან მიხეილ ხვადაგიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 3081 1—1

დავკარგე პირადობის ბარათი მიღებული მე-8 სამილიციო უბნის სამხედრო მაგიდიდან სამხედრო ბეგარის აღრიცხვაზე აყვანის შესახებ მიღებული 1923 წ. 15 ნოემბ. № 23 თარიღით, როგორც დაბადებულს 1900 წელში, არუთინ ნიკოს ძე ნურალოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 3088 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა ჯარში გამწვევ პუნქტის მიერ მოცემული დავით მ. ბოხაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 3089 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა № 106, მოცემული ბანძის რაიალმასკომისაგან, მოწმობაში იყო პრტყელი რეზინის ბანძის საბჭოთა აფთიაქის ბეჭედი. ჩაითვალოს გაუქმებულად. მ. ანთელავა. 3087 1—1

დავკარგე დამხმარე სალაროს წიგნაკი № 4089. სოფიო დავითის ასული ხარსელის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 3086 1—1

დავკარგე პასპორტი გაცემული ქალ. თბილისის სამმართველოს მიერ ივანე შალანგინის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 3076 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა, მიღებული ბანძის რაიალმასკომისაგან 14 ნოემბერს ა. წ. № 300 სარდიონ მიქიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 3090 1—1

დავკარგე მეტრიკული მოწმობა გიორგი კაპანაძის სახელზე № 1657. ჩაითვალოს გაუქმებულად. 3080